ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 9—10 1883—1905 30 მარტი

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**ოფიციალური განყოფილება**: უმაღლესი ჯილდონი.—განჩინება უწმ. სინოდის სასულ. პირთა დაჯილ. შესახებ.
**სალიტერატურო განყოფილება**: მწარე ფიქრები, სოფლის ხუცისა.—იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა მე-45 კრება ქ. ქუთაისში 16 მარტს, დამსწრესი.—კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ჩამობრძანება ტფილისში.—წერილი რედაქციის მიმართ.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.
**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე**: ვნება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მღ. პ. კაპანაძისა.—განცხადება.

## მწარე ფიქრები.

(ეხლანდელი დროის წაღმა-უკუღმა ტრიალის გამო).

ნეტავი იმ ქვეყანას და იმ ხალხს, სადაც მცხოვრებთა საკეთილდღეოდ დაარსებულ წესწყობილებას და კანონებს სიმტკიცე აქვს და კერძო პირებს არა აქვს უფლება ამ კანონების დარღვევისა და გაუქმებისა. ჩვენს მოკლე ცხოვრებაში აშკარად დავრწმუნდით, რომ დამტკიცებულთ და ყველასაგან სავალდებულოდ მიღებულთ და ცნობილ წესწყობილებათა თავისი ძალა დიდხანს არ შერჩენიათ, ცოტა ხნის შემდეგ კერძო თანამდებობის პირთა დასარღვევად გამხდარა. რომ ეს ასე არ იყოს დიდათ მოგებული იქნებოდა ჩვენი საზოგადოება და, ეჭვს გარეშეა, ჩვენი ცხოვრების საქმეებიც კეთილად წარემართებოდა. შუაგულ რუსეთში კანონმდებლობას კიდევ აქვს პატივი, მაგრამ ჩვენ განაპირა ქვეყნებში იგი აბუჩად არის აგდებული. აქ, ჩვენში მაინც, ყველასაგან მიღებულს სავალდებულოდ დ̃ დამტკიცებულ წესდებულებათა სულ ადვილად შესცვლიან ვითომ და ჩვენი განაპირა ქვეყნის ხალხის საკეთილდღეოდ... არაფერს ვიტყვით საერო წოდების შესახებ, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლად ვრაცხთ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ სასულიერო წოდებაში არსებულ წაღმა-უკუღმა საქმის ტრიალობის შესახებ. სასულიერო წოდება მეტის-მეტად არის დაჩაგრული მით, რომ ყოველ მეუფროსეს შეუძლია უარი ჰყოს დამტკიცებულ კანონმდებლობას და წეს-წყობილებას ◌ͩ თავის სურვილისამებრ შემოიღოს სულ წინაღმდეგი წეს-წყობილება საეკლესიო და სასულიერო წოდებისათვის მავნებელი და უსარგებლო. რომ დააკვირდეთ კარგად ჩვენი სასულიერო წოდების მართვა-გამგეობას, ცხადათ შენიშნავთ რომ ეს მართვა-გამგეობა სხვა-და-სხვა გვარი ყოფილა მეუფროსეთა ცვლილების გამო. მართალია პირველად მიგებების დროს მეუფროსეთა მოახსენებენ: „რაც დაწყებულა თქვენი წინა მოადგილების დროს თქვენ განაგრძობთო, რაც უშენებიათ, თქვენ დაამთავრეთო“ და ისინიც ყველას აიმედებდენ, რომ აგრე ვიზამთო, მაგრამ საქმით სულ სხვა ხდებოდა. პოლიტიკურ საქმის მიმართულებაში ეს მეუფროსენი ხშირად ერთი მეორეს ბაძავდენ, მაგრამ რაც შეეხება საეკლესიო და სამღვდელოების საქმის მიმართულებაში სულ სხვანაირად იქცეოდნენ. ერთის მოსაწონი მეორესთვის სავნებელი იყო და ერთისაგან საზარალოდ აღიარებული მეორესთვის სასარგებლოდ იყო მიჩნეული. აი ფაქტები ჩვენი ნათქვამის დასამტკიცებლად. განსვენებული ექზარხოსი ევსევი წინააღმდეგი იყო სოხუმში ცალკე ეპარქიის დაარსებისა. ის ამბობდა: რა საჭიროა ოცდა-ათი ეკლესიის კრებულისათვის ცალკე ეპარქიის დაარსებაო. ეს ეპარქია მის დროს იმერეთის ეპარქიას მიეწერა. როცა სოხუმის ეპარქია იყო მიწერილი იმერეთის ეპარქიაზედ, სულ ცოტა ხარჯი სჭირდებოდა მთავრობას და საქმეც მეტი თუ კეთდებოდა დღევანდელზე, თორემ არა ნაკლები.

განსვენებულმა იონნიკემ, ეპარქიების საქმის მოწყობა მთელს საექსარხოსოში სულ სხვა ნაირად განიზრახა. მისი აზრით სოხუმში საკუთარი ეპარქია უნდა დაარსებულიყო, მაგრამ სამეგრელო და იმერეთის ეპარქია ერთად უნდა შეერთებულიყო. მისი წარდგინებით იმერეთის ეპისკოპოსს უნდა დანიშნოდა ვიკარი, რომლის კათედრად მარტვილი უნდა ყოფილიყო. განსვენებულის განზრახვა იყო, რომ საექსარხოსოში ორი ეპარქია დარჩენილიყო ქართველებისათვის...

*
* *

იონნიკეს დროს გამოსცა სინოდმა უმაღლესად დამტკიცებული ახალი წესდებულება სასწავლებლების უმფროსების კენჭის ყრით აღრჩევაზე სამღვდელოებისაგან. მაგრამ იონიკეს მოხსენებით სინოდმა ეს უმაღლესად დამტკიცებული წესდებულება გააუქმა და თვით ექსარხოსმა მიიკუთნა ეს უფლება ჩვენში... შემდეგ გადაიყვანეს იონნიკე. დაინიშნა მთავარ ეპისკოპოსი პავლე ექსარხოსად და სრულიად შეიცვალა მისი წინა მოადგილის მოსაზრებანი. იმერეთის ეპარქიის გადიდება მან მავნებლად დაინახა პოლიტიკური მოსაზრებით, სამეგრელოს ეპარქია ისევე ცალკედ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ საჭიროდ დაინახა ყველა ეპარქიების სახელები შეცვლილიყო. იმერეთის ეპარქიას, მისი აზრით, უნდა დარქმეოდა ქუთაისის ეპარქია და არა იმერეთისა, სამეგრელოს ეპარქია უნდა წოდებულიყო ფოთისად და აფხაზეთისა—სოხუმისად. მრავალი ქაღალდები დაიწერა ამის გამო...

ნაცვლად იმისა, რომ იმერეთის ეპისკოპოსის ვიკარი ბესარიონი დაეტოვებიათ სამეგრელოს ეპარქიაში, ან გურიის ეპარქიის მართველი ეპისკოპოსი ალექსანდრე, მთავარ ეპისკოპოსმა პავლემ წარადგინა ფოთის ეპარქიის კათედრაზე სინოდალნ კანტორის წევრი არხიმანდრიტი გრიგორი. იგი დაინიშნა გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსად. დარჩა უადგილოთ ეპისკოპოსი ბესარიონი. მოახსენეს სონოდს ვითომ დიდი საჭიროება არის ალავერდში კათედრის დაარსებისაო და ვითომ საზოგადოების სურვილია ამ კათედრაზე ეპისკოპოსის დანიშვნისაო. სინოდმა შეიწყნარა ეს მოხსენება და ალავერდის ეპისკოპოსად, მეორე ვიკარად დანიშნა ბესარიონი უადგილოდ დარჩენილი. ეს კათედრა დაარსდა მხოლოდ ბესარიონისათვის. რადგან ადგილი ველარსად იშოვეს მისთვის. ამნაირად მიემატა მეორე ვიკარი ქართლ-კახეთის ეპარქიას. ბოლოს უნდა გაუქმებულიყო ეს კათედრა, მაგრამ დარჩა ისევე სულ სხვა მოსაზრებით. ერთი ვიკარის დანიშვნა ექსარხოსთან და ისიც რუსისა რაღაცა მოუხერხებელი იყო, მოიფიქრეს, რომ პირველი ვიკარი ყოფილიყო გორის ეპისკოპოსი რუსთაგანი და ალავერდისა—ქართველი. ასეც აასრულეს თავისი სურვილი. დღეს როგორც ისმის ალავერდის კათედრა სრულებით გაუუქმებიათ.

მართლაც რა საჭირო არის მეორე ვიკარი ამ წეს-წყობილებასთან, როგორიც არსებობს დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში? რა მნიშვნელობა აქვს მეორე ვიკარის დანიშვნას და ისიც ალავერდში? მაგრამ სურვილი ზოგიერთი პირებისა პირველ ვიკარის დანიშვნისა რუსთაგან დიდია, ამისათვის საჭიროა საქმე სხვა გვარად უნდა მოხერხდეს. ეხლა ისმის, რომ პირველი ვიკარი უნდა დაინიშნოს ბაქოსა და ყარსისათვის. ეს ვიკარი იქნება საცხოვრებლად ზამთრობით ბაქოში და ზაფხულობით ყარსშიო. ძლიერ გასაკვირველია ესეთი მოსაზრება ვიკარის საცხოვრებელი ადგილის შესახებ. ვიკარები განა თავიანთ კათედრის ეკკლესიების სიახლოვეს სცხოვრობენ? სრულებით არა. განსვენებული ეპისკოპოსი ბენიამენი, პირველი ვიკარი ექსარხოსისა რუსთაგანი, არც ერთხელ არ ყოფილა გორში და არც ერთხელ არ უწირავს თავის კათედრის ტაძარში. ჩვენ ყოველთვის ვხედავთ და გაზეთებითაც გვეცნობება, რომ ხშირად მთავარ-ეპისკოპოსთან ერთად ორივე ვიკარები სწირავენ და არა ცალცალკე, როგორც ეს იყო ძველად. მთავარ ეპისკოპოსის კათედრის ტაძარში ვიკარი ასრულებდა წირვა-ლოცვას, როცა მთავარ-ეპისკოპოსი ეპარქიის დათვალიერების დროს ან სხვაგან მყოფობის გამო არ იყო თავის ადგილზე. ეხლანდელ დროში კი მთავარ-ეპისკოპოსი თავიანთ ვიკარებით ერთ ადგილას სცხოვრებენ და ერთად სწირავენ...

*
* *

ჩვენ ძლიერ გვიკვირს, თუ რატომ ცალკე ეპარქიებს არ დაარსებენ ბაქოს, ერევნის და განჯის გუბერნიებში? ნუ-თუ იმდენი ეკკლესიები არ მოინახება ამ გუბერნიებში, რამდენიც არის აფხაზეთის ეპარქიაში? ერევნის გუბერნიაში მაინც მიუცილებლად საჭიროა ცალკე კათედრის დაარსება, რადგან, როგორც იოანნე ვოსტორგოვი გვარწმუნებს, დიდი სურვილი აქვსთ ამ გუბერნიაში მცხოვრებ სომეხთა მართლმადიდებელ ეკკლესიასთან შემოერთებისა... არ არის მხოლოდ შეტყობილი ეს სურვილი მ. ი. ვოსტორგოვს განუცხადეს ერევნის სომხებმა თუ სინოდალნი კანტორას...

დიაღ, ხალხის ცხოვრება თავისი წესით მიმდინარეობს და თანამდებობის პირთა აზრები და სურვილები თავისი წესით. ამისათვის არის კიდეც, რომ ჩვენი მსახურების ნაყოფი არა სჩანს და საზოგადოებასაც თან და თან გული უცრუვდება ჩვენს წოდებაზე და ჩვენც უკან ვიხევთ თან და-თან ნაცვლად იმისა, რომ წინ გავეშუროთ...

*
* *

გამოცხადდა ახალი განკარგულება სემინარიის წესდების 116 პარაგრაფის სისრულეში მოყვანის შესახებ იმ წესით, როგორათაც პირველად იყო ნაბრძანები. 1887 წლის სემინარიის წესდების 116 პარაგრაფში ეწერა: ვინც სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელს გაათავებს პირველი ხარისხით, ისინი სემინარიაში უეკზამენოდ უნდა იყვნენ მიღებულნიო. ეს კანონი ყველასათვის სავალდებულო იყო. მაგრამ არ მოეწონა ზოგიერთ სასწავლებლის და სემინარიის მეუმფროსეთა. ამათ კანონის აღსრულება თავის დამცირებათ მიიღეს. შაგირდის მიღება და მიუღებლობა ჩვენზე უნდა იყოს დამოკიდებული, თორემ შაგირდები აღარ დაგვაფასებენო. სხვანი კი სხვაგვარად იმართლებდენ თავს, როცა უადგილობისა გამო უარს ეუბნებოდენ სემინარიაში მიღებაზე. მაგალითებრ, სემინარიაში მისაღები ადგილი იყო 30. მთხოვნელები იყო ასი. როგორ შეეძლოთ უარი ეთქვათ სემინარიაში მიღებაზე, როცა სასწავლებლის სამმართველოსაგან ღირსად იყვნენ ცნობილნი სემინარიაში შესვლისა? სემინარიის წესდების 116 მშვენიერ პარაგრაფს უქნეს აბრუნდი და გააუქმეს. გამოსცეს ახალი დამტკიცებითი წესდება, ვითომ და საკეთილდღეოდ შაგირდებისა და ნამდვილად-კი მათ დასაღუპავად. გამოუცხადეს მოწაფეთა, რომ მათგან მიღებულს ატესტატებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სემინარიის მთავრობისათვის. ვინც მისაღებ ეკზამენს არ დაიჭერს სემინარიაში მისაღებად, იგი არ იქნება მიღებული. გაცრუვდა საწყალი შაგირდების იმედი. ას შაგირდში დაიჭერდა სწორეთ ეკზამენს იმდენი, რამდენიც მისაღები ადგილიც ეგულებოდათ. დანარჩენი წელ-მოწყვეტილი უკან ბრუნდებოდენ. წარმოიდგინეთ ზოგიერთი სემინარიის უმფროსები რა გასაშტერებელ საქმეს ჩადიოდენ. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამართველომ რამდენიმე მოწაფე მეოთხე კლასიდან ცუდი სწავლისა და ყოფაქცევისათვის დაითხოვა. ამ შაგირდებს ეკზამენი დააჭერინეს და მიიღეს სემინარაში, ხოლო იმ მოწაფეთა, რომელთაც პირველი ხარისხით და ჩინებულად გაათავეს კურსი და რეკომენდაციაც ჰქონდათ მათ კი უარი უთხრეს. ამისთანა მოქმედებებმა ბევრგან იჩინა თავი და ამისათვის საჭიროთ დაინახეს სემინარიის წესდების 116 პარაგრაფი ძალაში დარჩეს და ის ძალა ექნეს, რაც პირველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდათ. მაგრამ ძნელია ამ პარაგრაფის ასრულება. სემინარიაში ადგილი იქნება ოცი და შემსვლელები ასი. ალბად სემინარიის მთავრობა უბრძანებს სასწავლებლების მთავრობას, რომ იმდენს მისცონ ატესტატი, რამდენისაც მიღება შეიძლება და დანარჩენს უარი უთხრან.

ჩვენის აზრით, რამდენიც უნდა აბრუნონ სასწავლებლის და სემინარიის წესდების პარაგრაფები, ჩვენი სასულიერო სასწავლებლის მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებენ. საჭიროა ძირითადი ცვლილება სასწავლებლების პროგრამისა და ეხლანდელი დროის მოთხოვნილების თანახმად სწავლის საქმის მოწყობისა. ჩვენი სასწავლებლების წეს-წყობილება დაძველებულია და ამ ძველში არ მოთავსდება ახალი. სახარების სიტყვისამებრ ახალი ღვინო ძველ ჭურჭელში არ ჩაისხმება!..

*
* *

უკანასკნელ პეტიციებზე სხვათა-შორის სამღვდელოებამ ითხოვა, რომ მოსპობილიყო მღვდლების დაჯილდოება სხვა-და-სხვა ნიშნებით და ორდენებით. საზოგადოება დარწმუნდა, რომ ეს ჯილდოები სამღვდელოებაში ჰბადავს დიდს უკმაყოფილებას. მართლადაც რომ გადაათვალიერებ ჯილდოს სიებს რწმუნდებით, რომ არ შეიძლება სამღვდელოებაში ამ ჯილდოებმა უკმაყოფილება და უსიამოვნება არ გამოიწვიოს... ამ მხრით ფრანგების სამღვდელოება უფრო საქებურად იქცევა. ისინი გარეგანი ნიშნებით კი არ ცდილობენ თავის გამოჩენას, არამედ ქადაგებით, კეთილ მსახურებით და სამწყსოთა სიყვარულის და ყურადღების დამსახურებით. დროა, სწორეთ დრო, რომ ჩვენც მივბაძოთ მათ...

სოფლის ხუცესი.

---

## იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა მე-45 კრება ქ. ქუთაისში 16—22 მარტს.

(გაგრძელება*)

დიდი ბაასი გამოიწვია კრებაზე პეტიციის წაკითხვამ საქართველოს სასულიერო წოდების მართვის და კათალიკოსის აღრჩევის შესახებ. პეტიციის საშუალებით უცხოეთში ბევრი საქმე კეთდება, რადგან მართებლობა და ხალხის წარმომადგენლები დიდ ყურადღებას აქცევენ ხალხის პეტიციებს, მაგრამ ჩვენის კი რა მოგახსენოთ!.. პეტიციის კარგად დაწერაზე კი არ არის საქმე, საქმე ის არის, ვინ მიიღებს თქვენს პეტიციას და ვინ რა ყურადღებას მიაქცევს მას. ამ მხრით კი ჩვენი პეტიციების საქმე, ღმერთმან იცის, როგორ წავა და ვის მიუვა...

ჩვენს სახელმწიფოში მხოლოდ ეხლახან შემოიღეს, და მართლაც თითქმის ყველა წოდების ხალხმა და საზოგადოებამ, პეტიციების წერა და გზავნა. რა შედეგი ექნება ამ პეტიციებს შემდეგ გავიგებთ, მაგრამ ეს-კი დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ პეტიციების ცხრა მეათედი არავისაგან არავითარ ყურადღებას არ დაიმსახურებს!.. ისინი დარჩებიან მხოლოდ შემდეგ შთამოებას საისტორიო მასალათ, მოიგონებენ მაინც, რომ მათმა წინაპრებმა დიდის ალტაცებით შეადგინეს ეს პეტიციები და ხელის მოწერის შემდეგ, ცოტა ხანს მაინც, ამაოდ ნუგეშობდენ... ამ პეტიციაში დაწვრილებით იყო მოყვანილი ჩვენი სასულიერო წოდების მართვა-გამგეობის წეს-წყობილებანი, სასწავლებელთა პროგრამები და სასულიერო წოდების პირთა აღრჩევის წესწყობილებანი და სხვა ამისთანაები. ძლიერ მოიწონა კრებამ, მაგრამ ზოგიერთმა მაინც საჭიროთ დაინახა შესწორება პეტიციისა, ზოგი მუხლების გამოკლება და ზოგის დამატება. ზოგიერთებმა განაცხადეს, რომ საუმჯობესოდ მიაჩნიათ პეტიციის ნაცვლად აღდგენილიყო კითხვა სადაც ჯერ არს, საქართველოის ავტოკეფალის ეკკლესიის შეერთებაზე რუსეთის ეკკლესიასთან, ვინაიდგან მოციქულების კანონებისამებრ დღესაც არ არის შეერთებული საქართველოს ეკკლესია თავის წმიდანებით რუსეთის ეკკლესიასთანო. ეს შეერთება უნდა მომხდარიყო ეპისკოპოსთა კრებით და ცნობილი უნდა ყოფილიყო მსოფლიო პატრიარქებისაგან. ამ კითხვის აღძრვას ბევრი რამ სასიკეთო ცვლილება მოყვება საქართველოს სამღვდბლოებისა დ ეკკლესიისათვისო. პეტიციაში უმნიშვნელოდ დაინახეს სხვა-და-სხვა წესწყობილებათა დაკანონება და წინდაწინ მათი შედგენა. ჯერეთ უნდა მოვიცადოთ, მოგვცემენ თუ არა კათალიკოსის არჩევის ნებას. თუ ეს პეტიცია შეწყნარებული იქმნა მართებლობისაგან, სხვა წვრილმალ საქმეებს ადგილობითი კათალიკოსი გამოარკვევსო შენიშნეს მათ. მამა ლეკვეიშვილმა შენიშნა

---

*) იხ. „მწყემსი“ № 8 1905 წ.

№ 9—10 1883–1905 30 მაისი.

# მწყემსი

ბიბლიოთეკა

## ოფიციალური განყოფილება

### უმაღლესი ჯილდონი.

ხელმწიფე იმპერატორმა, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის უქვეშევრდომილესის მოხსენებითა, თანახმად უწმ. სინოდის განჩინებისა, ამა მაისის 6 დღესა უმოწყალესად ინება დაჯილდოება სასულიერო პირთა ქვემოდ მოხსენებული ნიშნითა ეპარქიის უწყებაში სამსახურისათვის

საქართველოს საექსარხოსოში: **მესამე ხარისხის წმ. ვლადიმირის ორდენით**; ა) წინამძღვარი ნოვო-ათონის სიმონ კანანელის მონასტრისა, სოხუმის ეპარქიისა, არხიმანდრიტი იერონი; ქუთაისის ქალაქის კათედრის ტაძრის დეკანოზი იოსებ კიკაჩეიშვილი;

ბ) **მეოთხე ხარისხის ორდენით**: წევრი ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორისა არხიმანდრიტი გიორგი; ახალ-დაბის მაცხოვრის, სამეგრელოის ეპარქიის, ეკკლესიის დეკანოზი ნესტორ ალშიბაია. წინამძღვარი ჯრუჭის მონასტრის, იმერეთის ეპარქიისა, არხიმანდრიტი ნიკიფორე; ქუთაისის ქალაქის პეტრე-პავლეს ეკკლესიის დეკანოზი ოქროპირ კაჰახიძე: გ) **წმიდა ანნის მეორე ხარისხის ორდენით**: მარტვილის საკრებულო ტაძრის, სამეგრელოის ეპარქიისა დეკ. კაპიტონ გაწერილია. დ) მესამე ხარისხის ორდენით—საბუის ეკკლესიის, ქართლის ეპარქიისა, მღვდელი დავით გოგიაშვილი; ...ალი გავაზის ეკკლესიის, იმავე ეპარქიისა, მღვდელი ბართლომე იანკოვი; წინამძღვარი ზედაძნის მონასტრისა იმავე ეპარქიისა იღუმენი გერასიმე; კობის მონასტრის წინამძღვარი, იმავე ეპარქიისა, არხიმანდრიტი დავითი; ხაზინადარი დრანდის მონასტრის, სოხუმის ეპარქიისა, არხიმანდრიტი ალიპი. ე) **მკერდზე სატარებელ ოქროს მედლით**—ფოთის საკრებ. ალექსანდრე ნეველის ტაძრის არხიდიაკონი ლუკა ხოშტარია.

### განჩინება უწმიდესი სინოდისა.

7 აპრილიდან 1905 წელსა № 1854 სასულიერო პირთა დაჯილდოების შესახებ სასულიერო უწყებაში სამსახ[illegible]

მისი იმპერატო[illegible]ებითი უდიდებულესობის უქაზისამებრ, უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინა ეპარქიის მღვდელთ-მთავრების, მოსკოვის სინოდის კანტორის და სასახლის სამღვდელოების გამგის წარმოდგინებანი მათდამი რწმუნებული სასულიერო პირთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის. **ბრძანეს**: საფუძველსა ზედა მომხდარ მსჯელობათა უწმ. სინოდმა განაწესა: წარმოდგენილ სიებსა შინა მოხსენებულნი სასულიერო პირნი იქმნენ დაჯილდოვებულნი სიებში აღნიშნული ჯილდოებითა და მღვდელთ მთავართა, მოსკოვის კანტორის და სასახლის სამღვდელოების გამგეთა საცნობლად დაჯილდოებულ პირთა სია დაიბეჭდოს „საეკკლესიო უწყებაში“.

საქართველოს საექსარხოსოში: ა) ენქერით—წმიდა მთავარ-მოწამეთა დავით და კონსტანტინეს ეკკლესიის, იმერეთის ეპარქიისა, დეკანოზი დავით ლამბაშიძე; თბილისის ქალაქის აისორის ეკკლესიის დეკანოზი დავით გურგენიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გ) დეკანოზობის ხარისხით**—ბლაღოჩინი არდაგანის ოლქისა არისტრახ ფეოხარი; ნუხის მღვდელთმთავართა ეკკლესიის მღვდელი დავით უტიევ; კორცხელის ღვთის-მშობლის, ეკკლესიის სამეგრელოის ეპარქიისა, მღვდელი ნიკოლოზ თოლორაია; ძუნკურის მაცხოვრის ეკკლესიის, იმერეთის ეპარქიის, მღვდელი დავით სირბილაძე; გამოჩინებულის წმიდი გიორგის ეკ., იმერეთის ეპარქიის, მღვდელი იოსებ კანდელაკი.

**იგუმენის ხარისხით**—თფილისის ფერისცვალების მონასტრის მღვდელ-მონაზონი ნიკოფორე.

**დ) მკერდის ჯვრით, ბოძებული უწმიდესის სინოდისაგან**—ქართლის ეპარქიის, ანაგის ეკკლესიის მღვდელი ზაქარია ახმეტელოვი; გორის საკრებულო ტაძრის, იმავე ეპარქიისა, მღვდელი სიმონ ლაშაური; ვალაშაპატის სოფლის, იმავე ეპარქიის, მღვდელი ბორის ვენიამინოვი; თელავის ღვთისმშობლის ეკკლესიის, იმავე ეპარქიისა, მღვდელი გიორგი მრევლიშვილი; იოანე ნათლის-მცემლის უდაბნოის მღვდელ-მონაზონი ღომენტი; თანაშემწე გორის სასწავლებლის ზედამხედველისა, მღვდელ-მონაზონი პირ; მარტვილის მიძინების მონასტრის მღვდელ-მონაზონი თეოფანე; ზუგდიდის ჯუმის მთავარ-ანგელოზთა ეკკლესიის მღვდელი ალექსი კვარცხავა; პირველი კიცხის მთავარ ანგელოსთა ეკკლესიის მღვდელი კოდრატე ჩაჩიბაია; ახალ-სენაკის წმიდი-გიორგის ეკკლესიის მღვდელი არისტარქოს კალანდარიშვილი; ბათუმის სლობოდის ბორცხანო ცავის მღვდელი ანდრეი ივანიცკი; ბათუმის მთავარ-ანგელოსთა ეკკლესიის მღვდელი სიმონ თოთიბაძე; ოზურგეთის საკრებულო ტაძრის მღვდელი დავით ღუმბაძე; ამავე ტაძრის მღვდელი მაქსიმე სიხარულიძე; სობოისდის მთავარ-ანგელოსთა ეკკლესიის მღვდელი მაქსიმე სილაგაძე; ზუგდიდის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი გაბრიელ ჯიქია; ბანზაველიდის კარჯის მთავარ-ანგელოზთა ეკკლესიის მღვდელი ივანე ფოჩხუა; ჯუმათის წმიდი-გიორგის ეკკლესიის მღვდელი სამსონ თოდუა; ლედგების მთავარ-ანგელოსთა ეკკლესიის მღვდელი ზებედე თოდუა; აცანის ოქონის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი სილიბისდრო ჩხაიძე; ცქემის წმიდა ბარბარეს ეკკლესიის მღვდელი არსენი ჭალიაგანიძე; გეღუეთის მთავარ-ანგელოსთა ეკკლესიის მღვდელი ბესარიონ თურქია; სამღვთო სჯულის მასწავლებელი ქალების სასწავლებლისა მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე; ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მღვდელი მელიტონ ცაგარეიშვილი; ვანის ღვთის-მშობლის ეკ. შორ. ეპ. მღვდელი იოსებ ტაბატაძე; კვალითის წმიდი-გიორგის ეკკლესიის მღვდელი რომანოზ გორგაძე; ფუთის წმიდი-გიორგის ეკკლესიის მღვდელი სიმონ თუთბერიძე; დიდი ჯიხაიშის სერგიეთის ეკკლესიის მღ-მღვდელი ანდრია ლეჟავა; ფოთის ქალაქის კათედრის ეკკლესიის დეკანოზი ტარასი ივანიცკი; მარტვილის მონასტრის ხაზინადარი ბერ-მონაზონი პეტრე.

**ე) კამილავკით**—ზედამხედველი თბილისის სასულიერო სასწავლებლისა მღვდელი ბუტირსკი; პატარა ლილოს სამრევლოის მღვდელი დავით კახაბერი; მცირე ტონეთის მრევლის მღვდელი მიხეილ თეთრაძე; კიარიაკეს სამრევლოის მღვდელი, ქართლის ეპარქიისა, დავით კირიანოვი; იტრიის ეკკლესიის მღვდელი ქრისტოფორე ციცქიშვილი; კორნისის სამრევლოის ეკკლესიის მღვდელი ალექსანდრე ქოქოევი; კარაუგანის ეკ. მღვდელი, ქართლის ეპარქიისა, გიორგი ხარიტოვი; საქობის ეკლესიის იმავე ეპარქიისა, მღ. ალექსანდრე ნეფედიევი; ფშაველის ეკკ. მღვდელი ლონგინოს ბერიშვილი; ცელანის სამრევლოის, იმავე ეპარქიის, მღვ. დიმიტრი ბებიაშვილი; ალის ეკკ. მღვდელი ისიდორ მაჭარაშვილი; ვაჩნაძიანის სამრევლოის, იმავე ეპარქიის, მღვდელ იოანე ლაშხაური; ბლაღოჩინი თბილისის მეხუთე ოლქისა მღვდელი იოანე ჩიტაძე; ბლაღოჩინი კაგიზმანის ოლქისა, იმავე ეპარქიისა, მღვ. კონსტანტინე პოლიტოვი; ბლაღოჩინი თიონეთის მეორე ოლქისა, მღვდელი გრიგორ ჯინჭველაძე; ელისავეტოპოლის რკინის გზის ეკკ. მღვდელი ესტატე მირიანაშვილი; გლდანის სამრევლოის მღვდელი იოანე ანდრიაშვილი; ბაკურციხის წმიდი-გიორგის ეკკ. მღვ. რომანოზ ფერაძე; ფარცხნევის წმიდა დიმიტრის ეკკლესიის სამეგრელოის ეპარქიის, მღვ. მელიტონ ცინცაძე; გოგორეთის წმიდი-გიორგის ეკკლესიის მღვდელი გრიგორი ქინქლაძე; კვიანის წმიდი-გიორგის ეკ. მღვდელი თეოფანე კალანდარიშვილი; გეჯეთის მთავარ-ანგელოსის მიხეილის მღვ. ლეონტი ხორავა; პირველი გურძემის მთავარ-ანგელოსთა ეკ. მღვდელი ეგნატე ქვანია; ფარცხნალის მაცხოვრის, იმერეთის ეპარქიის, მღვ. დავით სუხიაშვილი; თავასის სამებ ეკკლ. მღ. იასონ აბესაძე; ჭკუიშის ეკკლესიის მღ იუსტინე ტაბიძე.; სვირის სოფლის წმიდი-გიორგ ეკ. მღვ. სიმონ მჭედლიძე: მერჯევის სამების ეკკლ მღვ. ილარიონ წიქვაძე; ბაშის ღვთის-მშობლის ე მღვ. ბესარიონ ნაცვლიშვილი; გოგნის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი ლავრენტი ცქიტიშვილი.

---

მათ, რომ კანონიერად შეერთება საქართველოს შეერთებისთანავე მოხდა და მერვე ადგილი მიაკუთნეს ანტონი კათალიკოსსაო. მაგრამ ლეკვეიშვილს, როგორც გავს, არ სცოდნია როგორ ხდება ორი ეკკლესიის შეერთება...

მოითხოვეს ტელეგრამით შინაგანი საქმის მინისტრისაგან ნებართვა, რომ მომავალ ხალხის წარმომადგენელთა კრებაზე ნება მისცემოდათ ჩვენი სამღვდელოების წარმომადგენელსაც... რა პასუხი მიიღეს არ ვიცი. მინისტრების კომიტეტს უკვე გამოეცხადა, სამღვდელოების მხრით არავითარი განცხადებანი არ მიეღო და ვის გადაეცემა მიღებული პეტიციები არავინ არ იცის. უფრო დასაჯერებელი იქნება, რომ ვსთქვათ, ეს პეტიციები ერთ კარგ წმიდა შკაფში იქნებიან მოთავსებულნი საისტორიო მასალად მომავალი თაობისათვის...

ჩვენ მოვისმინეთ ამისთანა პეტიციები სხვა-დასხვა ადგილას შედგენილი, მაგრამ უნდა ვსთქვათ გამოტეხილად, ბევრად უმჯობესი იყო იმისთანა პეტიციები არა-თუ არ გაგზავნილიყვნენ, არამედ სრულებითაც არ დაწერილიყვნენ. დიაღ, ასეა ყოველთვის, როცა აზრები დაიქსასება იქ არაფერი რა გაკეთდება რა...

ქუთაისის ეკკლესიების ზოგიერთმა მედავითნეებმა განუცხადეს თავმჯდომარეს, რომ სამღვდელოების კრებას მოეფიქრა რამე მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ერთმა მათგანმა განაცხადა კრებაზე, რომ მათი მდგომარეობა აუტანელია. ჯამაგირის მიღება შრომის შეხედვისამებრ უნდა ეძლეოდეს მუშაკს, დაიწყო მან, მაგრამ ჩვენ შესახებ კი სულ წინააღმდეგს ვხედავთ. რიგი და კანონია მღვდელი იღებდეს მეოთხედს და მედავითნე სამწილს!.. მღვდელი რომ ერთ მოკლე კვერექს და ასამაღლებელს იტყვის, მედავითნემ ერთი კანონი უნდა წაიკითხოს ოთხი-ხუთი ფურცელი დავითნისა. აბა გადაათვალიერეთ მედავითნის წასაკითხავი და მღვდლის წარმოსათქმული, დიდი განსხვავება არის ამათში! მღვდელს რომ ერთი ფურცელი შეხვდება საკითხავად მედავითნეს ათი იმდენი. ეს ასე არ უნდა იყოს. თუ ნახევარს არ მოგვცემენ მესამედი მაინც უნდა მივიღოთ და ვსთხოვთ კრებას გადაწყვიტოს მესამედის წილის მიცემა შემოსავლიდგან! ამ განცხადებამაც დიდი ლაპარაკი და უთავბოლო მსჯელობა გამოიწვია კრებაზე. ზოგიერთი დეპუტატები მსჯელობის სიმართლეს კი არ აქცევდენ ყურადღებას, ისინი მხოლოდ იმაზე ფიქრობდენ, რომ კორესპონდენტების ყურადღება დაემსახურებიათ; ამასთან ნამეტნავად ცდილობდნენ, რომ მათი ნათქვამი ტაშის-კვრით დაეჯილდოებიათ. ამ მოსაზრებით ზოგიერთები თანახმანი გახდნენ მესამედი წილი მისცემოდათ მედავითნეებს. ზოგიერთები კი განაცხადებდენ, რომ ამისთანა მსჯელობაზე კრებას უფლებაც არ აქვსო. ორიოდე მედავითნის განცხადებას, დანარჩენების მაგიერ მათ უვექილოდ, კრებამ და თავსმჯდომარემ ყურადღება არ უნდა მიაქციოსო. ომიანობაში სალდათები იმარჯვებენ ყოველთვის და იგინი რომ არ იყვნენ გენერლები ვერაფერს ვერ გაარიგებენ, მაგრამ ჯერ არავის არ მოუთხოვია, რომ სალდათებს გენერლებზე მეტი ჯამაგირი დაენიშნოს! მართლაც ერთის მხრით, რომ შეხედოს კაცმა საქმეს კანონიერად ეჩვენება ეს განცხადება, მაგრამ მეორეს მხრით სულ სხვას ვხედავთ. ჩვენში მრავალია ისეთი მედავითნე, რომელთაც სოფელში საღმრთო წერილის კითხვა უსწავლია და ცოტაოდენი ტიბიკონი, სხვა სწავლა არსად არ მიუღია. ერთი და იგივე ნასწავლნი, რომ იყვნენ მედავითნე და მღვდელი, მაშინ ჯამაგირს და შემოსავალსაც თანასწორად უნდა იღებდნენ, არა თუ მეოთხედს, მაგრამ სად არიან ასე ერთნაირად ნასწავლნი მედავითნენი და მღვდელნი? ეხლანდელი მედავითნეების მდგომარეობა მართალია აუტანელია, მაგრამ ალბათ მთავრობა არ უნიშნავს მეტს, ვინაიდან ხედავს მათ მოუმზადებლობას. მედავითნეს მართლა ჰგონია «უფალო შეგვიწყალე» თუ სთქვა როგორც უნდა იყოს, დავითნი და ჟამნი, ჩვენში რომ იტყვიან, წყალივით თუ წაიკითხა, მეტი, მათის აზრით, აღარა არის-რა საჭირო! გრძელი მსჯელობის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა მესამედი წილის მიცემა, მაგრამ ეს ჟურნალი არ დამტკიცდა. მიეწერა სამღვდელოებას მოილაპარაკეთ საბლაღოჩინო კრებაზე და თუ მღვდლები გახდებიან თანახმა შეუძლიან მისცენ მესამედი წილიო.

ყველამ იცის კარგათ, თუ რა გავლენა იქონია სოფლის მქადაგებლებმა, ანუ როგორც სოფლელები ეძახიან, „ბუნტებმა" გლეხებზე, როდესაც გამოუცხადეს, რომ თავად-აზნაურთა მეტი ადგილი შევიძლიათ დახნათ და ისარგებლოთ თქვენი სურვილისამებრო. ბევრნი ამტყუნებდნენ გლეხებს, რომ დაუ-

ჯერეს „ბუნტებს“ და მართლაც მიიღეს მქადაგებელთა სიტყვები ვითომც ყველას შეეძლოს სხვის საკუთრებით სარგებლობა. ამისათვის გაიძახოდენ ყველანი: «გაუმარჯოს ერთობასო» რადგან ამ ერთობის შემდეგ ყველას შეეძლება სხვისი საკუთრებით სარგებლობა!.. წარმოიდგინეთ, რომ ზოგიერთი სამღვდელოებაც სწორეთ გლეხების აზრის ყოფილან ამ შემთხვევაში. რამდენიმე დეპუტატებმა კრებაზე განაცხადეს, რომ ჯამაგირები ვისაც მოდის დღეს ჩამოერთვას ყველას და თანაბრად უმეტნაკლებოდ გაიყოს ყველა კრებულზეო. ეს დეპუტატები თავისი მჭევრმეტყველობით ყველას აჯერებდენ, რომ უკანონობა არის, რომ ერთი კრებული იღებს ჯამაგირს და მეორე არა. რა დააშავა მეორამ, რომ პირველადვე არ დაენიშნა მას ჯამაგირი? დღეს ბევრმა არ იცის თუ რამდენი დრო უნდა იცადოს ჯამაგირის დანიშვნამდის? ამ ჩვენ დეპუტატ-ორატორებს ავიწყდებათ, ის რომ ჯამაგირი ყველას არ ხვდა, რადგან ხაზინაში ფული არ იყო. სამღვდელოებისა და მართებლობის სურვილი იყო, რომ ჯამაგირი პირველად დანიშნოდა მცირე მრევლის კრებულთ და დიდი მრევლის კრებულთ პატარა მოეცადათ. ყოველ წელს გამოდიოდა საკმაო ჯამაგირი საექსარხოსოს სამღვდელოებისათვის, მაგრამ გამოჩნდენ ბოროტი პირები, რომელთაც ხელი შეუშალეს ამ კეთილ საქმეს და დღეს ყველა არ იღებს ჯამაგირს, მაგრამ დიდი მრევლის კრებულები დრამის ფულებით ყმაყოფილდებიან. მართალია სოფლის ახალი მქადაგებლების წყალობით მღვდლებს აღარაფერს აძლევენ ზოგიერთ ადგილას, მაგრამ ამით გული არავინ უნდა გაიტეხოს. ჩვენში მრევლი ისე უვიცი არ არის, რომ მღვდელი იმსახუროს და არაფერი არ მისცეს. თუ ასე შეუბრალებლად მოექცევიან სამღვდელოებას, აღარც ისინი ემსახურებიან ტყუილა უბრალოდ.

დიდი უმნიშვნელო ლაპარაკისა და მსჯელობის შემდეგ თვითონ დეპუტატები დარწმუნდნენ ამ სურვილის აღუსრულებლობაში და მოსპეს მსჯელობა. დრო კი ბევრი დაიკარგა და ორ-გზის კრების ბაასიც შეწყდა დიდი ხმაურობის მიზეზით.

მ. ერმალოზ კანდელაკმა საქმე გაუჭირვა კრებას თავისი რაპორტების კითხვით. «მე, განაცხადა მან, ერთი რაპორტი გავუგზავნე სინოდალნი კანტორას, რომელშიაც დაწვრილებით ავსწერე იმერეთის სამღვდელოების გაჭირვებული მდგომარეობა. საჭიროა ჩემის აზრით ყველამ მოისმინოთ ეს რაპორტი და ისარგებლოთ».

დეპუტატებს ეგონათ მართლა რაღაცა ახალი აზრები იყოს დაწერილი ამ რაპორტში და ნება მისცეს წაკითხვისა. პირველი ნახევარი იმ რაპორტისა, ცოტა არ იყოს, რაღაცა დანოსს გავდა და თავის სიტყვით მოყვა. «რომ დრო არ დაგვეკარგოს, დაიწყო მან, პირველ ნახევარს ჩემი სიტყვით მოგახსენებთ. ორჯერ-სამჯერ ამოახველა, ხმა გაიწმინდა და დაიწყო. მოგეხსენებათ, მამანო, კარგად, რომ პირველად ხალხის მოძრაობა ჩემს საბლაღოჩინოში დაიწყო.

მღვ. მ. ხუნდაძე სტყუვით, მამაო ერმალოზ, როცა ამბობთ, რომ ვითომ პირველი მოძრაობა თქვენი საბლაღოჩინოდან დაწყებულიყოს. მოძრაობა გლეხებისა პირველად დაიწყო ოზურგეთის მაზრაში და არა ქუთაისისაში და თქვენ საბლაღოჩინოში.

მ. ერ. კანდელაკი. რა დიდი საქმეა, რომ პირველად გურიაში დაიწყო თუ სამტრედიაში, ხომ დაიწყო კი? ამ მოძრაობას დიდი უბედურება მოყვა როგორც ჩემთვის, ისე ჩემი საბლაღოჩინო მღვდლებისათვის. ახალ წელიწადს როცა წირვა უნდა დამეწყო, სწორედ იმ დროს, როცა ტრაპეზის წინ დავდექი შემოსვილი, შემომივარდა ერთი გურული შეიარაღებული კაცი და მოკვლას მიპირებდა.

მღ. ჩხაიძე. სირცხვილია ეგეთი ტყუილი მ. ერმალოზ. რა პასუხს აძლევ ქალარა წვერებს, რომ გურულებს აგეთ ცილს სწამებ? ის კაცი შენი სამრევლოა, ან მეზობელია და არა გურული. ის კაცი არც ერთ დას არ ეკუთვნის და, როგორც ამბობენ, მთვრალი ყოფილა და შენი მოკვლაც არ ქონებია გულში. რა დაგიშავა გურულმა მაგისთანა ცილს რომ სწამებ?..

გთხოვთ გაიყვანოთ ეს მღვდელი გარეთ, სთხოვა თავმჯდომარეს კანდელაკმა. თავმჯდომარემ მოითხოვა ხუნდაძისაგან, რომ დაეცალია სიტყვის გათავება და მერე ეთქვა თავისი სიტყვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უთხრა თავმჯდომარემ, სულ მოგცემთ ნებას სიტყვისასო. სამღვდელოების კრებაზე ყველა მღვდელს აქვს უფლება დაესწროს, განაცხადა ხუნდაძემ. მაგრამ ბოლოს თავისით გავიდა გარეთ.

პირველი ნახევარი თავის რაპორტისა ერ. კან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელაკმა ამით გაათავა. შემდეგ დაიწყო კითხვა და ადგილ-ადგილ ზოგიერთ სიტყვებზე ნამეტნავად მაღლა აუწევდა ხმას. რაპორტის მეორე ნახევარში მ. ე. კანდელაკი თხოვილობდა, რომ მას—პირველად ყოვლისა დანიშნოდა დიდი ჯამაგირი და მას შემდეგ მის საბლაღოჩინო მღვდლებს და მათ შემდეგ დანიშნოდათ ეპარქიის სხვა სამღვდელოებასაც. იმას კი ცხადათ ამტკიცებდა და თხოვილობდა, რომ უთუოდ პირველად ჯამაგირები მას და მის საბლაღოჩინო მღვდლებს დანიშნოდა. რაპორტში სინოდალნი კანტორას სთხოვდა, რომ გამოეცხადებიათ საქვეყნოთ ჟურნალში დაბეჭდვით, ალბად მისთვის, რომ შეეტყო ყველას, მისი მამაცობით ერთი გურულ დემოკრატის კომიტეტის საშიშარი წევრი უკვე შეიპყრო მან ტრაპეზში და შემუსვრილი ჩააბარა პრისტავს ეკკლესიაშივე... ამ ამბების მოთხრობამ კარგა დიდი დრო დააკარგვინა სამღვდელოების დეპუტატებს და საქმეს არ დახმარებია სრულებით...

ერთმა დეპუტატმა განაცხადა, რომ სამღვდელოებას მისცემოდა სესხებითი სახით იმ ფულებიდამ, რომელიც შეგროვილია პანსიონის სახლის ასაშენებლად საქალებო ეპარქიალურ სასწავლებელთან.

დეკ. დ. დამბაშიძე. კანონით სამღვდელოებას უფლება არა აქვს ამ ფულების სესხებისა. მსესხებელს რა გარანტია შეუძლია მისცეს სამღვდელოებას, რომ ეს ნასესხები ფულები უკანვე დაუბრუნდება მღვდლის სიკვდილის შემდეგ. ვინც თანაუგრძნობდა ამ ფულებიდამ სესხებას, იმათ სრულებით სახეში არ ჰქონდათ ფულების უკან დაბრუნება. ამისთანა პირები კი ბევრი იყო კრებაზე და დაადგინეს, ვინც ისაჭიროვოს დაისესხოს ამ ფულებიდამ საჭირო თანხა და მერე დააბრუნოს უკანვე.

სამღვდელოების კრებამ მოსპო ყოველ-ვარი გარდასახადი სასწავლებლების შესანახავად დ ამ სასწავლებლების შენახვა დააკისრა იმ მშობლებს რომელთა შვილებიც ამ სასწავლებელში სწავლობენ. აი ესეთი სერიოზული კითხვა ასე მოუფიქრებლად და სწრაფად გარდასწყვიტეს დეპუტატებმა!..

დეკ. დ. და—ძე. მამანო დეპუტატნო! თქვენ ძლიერ ადვილათ სწყვეტთ ამისთანა სერიოზულ კითხვებს. მოსპეთ ყველა ის შემოსავალი სასწავლებლების შესანახავად, რომლებიც მოდიოდა ეკკლესიებიდან. შეიძლება ეს თქვენი განჩინება დაამტკიცონ, მაგრამ თქვენი ჯამაგირებიდამ კი შეავსებენ ამ ფულს და ბევრს ინანებთ, მაგრამ საქმეს ველარ გამოასწორებთ. მე აქ გამოსაზრდელი არავინ მყავს და რომ მყავდეს აქ არასოდეს არავის შემოვიყვან, მაგრამ რას ეუბნებით აქ მყოფ შაგირდებს? ამ სკოლას თუ ხურავთ სხვაგვარი რამე სკოლა მაინც უნდა გახსნათ, თორემ სად შეუძლია მარტო შაგირდების მამებმა შემოიტანონ 15 ათასი მანეთი? მე მაკვირვებს ესეთი მსჯელობა. ალბათ მე მოვხუცდი და გონებითაც დავუძლურდი, თქვენ კი ფილოსოფოსები შეიქენით! ღმერთმან ქნას!..

(შემდეგი იქნება)

დამსწრე.

## კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის ჩამობრძანება ტფილისში.

5 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე, ტფილისს ჩამობრძანდა ახლად დანიშნული მეფის მოადგილე გრაფი ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვი თავის მეუღლით, ელისაბედ ანდრიას ასულით, ქალიშვილითა და რძლით. სადგურზე ნამესტნიკს მიეგებნენ; ნამესტნიკის თანაშემწეები გენ.-ლეიტენანტი მალამა და დ. ტ. ს. სულთან-კრიმ-გირეი, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენ.-ლეიტ. ტალახაძე, კავკასიის სამხედრო კორპუსების უფროსნი გენ.-ლეიტენანტები იაცკევიჩი და ფადეევი, გენ.-კვარტირმეისტერი, ნამესტნიკის საბჭოს წევრნი ნ. ი. პრიბილი, ი. ვ. მიცკევიჩი და ვ. გ. უსტრუგოვი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ორბელიანი, ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი გენ. ტროფიმოვი, მისი თანაშემწე მაქსიმოვი, გუბერნატორის თანამდ. აღმასრულებელი ალიშევსკი, ტფ. კომენდანტი გენ. ტიმოფეევი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდ.-აღმას. თავ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი, მაზრის მარშლები და თავად-აზნაურთა დეპუტატები, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. დ. წერეთელი, ტფ. ქალაქის მოურავი ვერმიშევი ქალაქის გამგეობის წევრებით, ვაჭართა, მოქალაქეთა და ხელოსანთა მოურავები, ბაირაღებითა და ყვავილებით მორთულ სადგურზე ნამესტნიკს დახვდა საპატიო სადარაჯო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზმი ტფ. გრენადერთა პოლკისა. ნამესტნიკმა ჩაუარა რაზმს, მიიღო კომენდატისაგან რაპორტი და მიუბრუნდა დეპუტატებს.

პირველად ქალაქის მოურავმა მიართვა გრაფს პურ-მარილი და მოახსენა:

თქვენო ბრწყინვალებავ,
გრაფო ილარიონ ივანეს ძევ!

ნება გვიბოძეთ ტფილისის მცხოვრებთა სახელით მოგილოცოთ მშვიდობით თქვენი ჩამობრძანება იმ მხარეში, რომლის მართვა-გამგეობაც ხელმწიფემ თქვენ ჩაგაბარათ; იმ მხარეში, რომელიც ბევრს რასმე გამოელის თქვენგან, როგორც მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნაცვალისაგან კავკასიაში.

ამ ზაფხულის დღეებში, როცა ახლდება მთელი ბუნება, ხალხი აღსავსეა იმედით, რომ ეღირსება ბედნიერ მომავალს და უნდა სულითა და გულით გისურვოსთ ყოველი სიკეთე თქვენ, რომელსაც მინდობილი გაქვსთ მხარე დააყენოთ განახლების გზაზე და ამისათვის მოიწვიოთ ადგილობრივ მკვიდრთა ყველა ნაწილი ერთად სამუშაოდ.

დიდმა ხანმა განვლო ამ წამის მოლოდინში. ბევრი ტანჯვა, მწუხარება განიცადა ამ მხარემ, რომელიც ასის წლის განმავლობაში იმას-და სცდილობდა, მჭიდროდ დაკავშირებოდა რუსეთს, იცოდა-რა თუ რა საერთო ისტორიული დანიშნულება ჰქონდა ორსავეს.

გარნა წარსულს ივიწყებს ჩვენი ხალხი; ეს წარსული ისტორიის საკუთრებად-და ხდება. ჩვენის ხალხისთვის გულ-კეთილობა უცხო არ არის; როცა ვინმე ნდობას უცხადებს, იმან გულის გადაშლა იცის და ამ გრძნობით ეგებება თქვენს ბრწყინვალებას და სწამს, რომ რუსეთის დიდს და ძმურად განწყობილ ხალხს კავკასიაში კაცთმოყვარული მისია აქვს ნაკისრი.

ჩვენ ღრმადა გვრწამს ეგა, მტკიცე და ურყეველია ჩვენი სიყვარული ყოველისავე კეთილშობილურისა და კაცთმოყვარულის მიმართ, რაც-კი გხვდებოდა და გხვდება ჩვენის სამშობლოის გულიდან

ნუ გაგაოცებსთ ნახვა კიდით-კიდე აღელვებულ მხარისა; საერთო ზღვის აღტყინებულ ტალღებში ის კი არ იხატება, ვითომ ერი უარ-ჰყოფდეს წესიერებასა და განონიერებას, არამედ იხატება სადი შემოქმედებითი ძალა, ღრმად დაფარული; ძალა, რომელიც გარედ გამოსვლას სცდილობს. ეს ძალა ქედს იხრის, როცა ეუბნებიან, მოდით, საერთოდ ვიმუშაოთ თავისუფლად, თვითმოქმედების საფუძველზეო. და მაშინ ეს ძალაც იმაში გამოიხატება, რომ ყველა ერნი ერთად მშვიდობიანად იმუშავებენ საყვარელ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენის მხრის მკვიდრნი თქვენ გეგებებიან, როგორც წინამორბედს განთიადისას, საქართველოის ძველ სატახტო ქალაქის კარებთან პურ-მარილით. ორივ ეს სიმბოლოა გულუხვ სტუმართმოყვარეობისა და სიკეთის ნატვრისა, და ბრწყინვალე გულის სიწმინდით, იმედით აღფრთოვანებული ხალხი მოგახსენებსთ: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ტფ. თავად-აზნაურთა წინამძღოლმა მიმართა ნამესტნიკს შემდეგ მოკლე სიტყვით:

თქვენო ბრწყინვალებავ,
გრაფო ილარიონ ივანეს-ძევ!

ქართველ თავად-აზნაურობის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ მშვიდობით მობრძანებას საქართველოს უძველეს სატახტო ქალაქში. გეგებებით თქვენ, როგორც ხელმწიფე იმპერატორის წარმომადგენელს და ისეთ ადამიანს, რომელიც გამსჭვალულია ჰუმანიურის სურვილით დასთესოს ირგვლივ სიმართლე და მშვიდობიანობა, რაც ასე ენატრება ჩვენს მრავალ ტანჯულს სამშობლოს

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

მოკლე სიტყვით მიესალმა ნამესტნიკს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. წერეთელი. ნამესტნიკმა მადლობა გადაუხადა ორატორებს მისალმებისათვის.

სადგურზე მყოფ ტფილისის მაღალ საზოგადოების მანდილოსნებმა მიართვეს გრაფინია ელისაბედ ანდრიას ასულს, იმის ქალსა და რძალს მშვენიერი თაიგულები. შემდეგ გრაფი ილარ. ივ. ვორონცოვ-დაშკოვი შებრძანდა თეთრ ცხენზე და გაემართა სადავოი ქუჩით და მიხეილის პროსპექტით ქალაქში. ქუჩებში დიდ-ძალი ჯარები იყო გამწკრივებული თავიანთის სამუსიკო ხოროებით. აქეთ-იქით ხალხი იდგა. გოლოვინის პროსპექტზე ნამესტნიკი ვერის ხიდით ავიდა. გრაფს უკან მიჰყვებოდნენ ცხენებითვე ამალა, შემდეგ ეტლებით გრაფინიები და სხვა-და-სხვა დეპუტაციები. ვერის ალმართზე იდგნენ ამქრები თავიანთ ბაირაღებითა და ზურნით; ცოტა ზევით მალაკნები, რომელნიც ფსალმუნის გალობით მიეგებნენ გრაფს. ერევნის მოედნიდან გრაფი სიონის საკრებულო ტაძარში მივიდა, სადაც მას მიეგება საქართველოს ექსარხოსი, ეპისკოპოსი ექვთიმე და ქალაქის სამღვდელოება. ექსარხოსმა მოკლე სიტყვით მიულოცა ჩამოსვლა. და შემდეგ გადაიხადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარაკლისი. აქედან ნამესტნიკი ამალითა და გენერლებით წავიდა სომხთა ვანქის საკრებულო ტაძარში, სადაც მიეგებნენ ტფ. სომეხ-გრიგორიანთა ეპარქიის უფროსი ეპისკოპოსი გარეგინ სატუნიანცი სამღვდელოებით. ეპისკოპოსმა გარეგინმა მოკლე სიტყვით მიჰმართა გრაფს, დალოცა იგი და მცირე პარაკლისი გადაიხადა. აქედან მისი ბრწყინვალეზა გაემართა შიიტთა და სუნიტთა მეჩეთებში, სადაც მაჰმადიანთა სამღვდელოება მიეგება. ამის შემდეგ, მე-4 საათის დასასრულს, ნამესტნიკი სასახლეში მივიდა, სადაც ამ დროისთვის შეგროვდნენ: საქართველოს ექსარხოსი ალექსი და ეპისკოპოსი ექვთიმე სინოდალურ კანტორის წევრებით; სომეხ გრიგორიანთა ეპარქიის უფროსი და იმის კონსისტორიის წევრები; მაჰმადიანთა შეიხ-ულ-ისლამი და მუფთი და მაჰმადიანთა სასულიერო მმართველობათა წევრნი; მის იმპერატორებით უდიდებულესობის კარის კაცნი, გენერლები და სამხედრო მმართველობათა უფროსნი; ნამესტნიკის საბჭოს წევრები სამოქალაქო მმართველობათა უფროსნი; სამოსამართლო პალატის, დეპარტამენტების და საოლქო სასამართლოს უფროსნი და პროკურორები; ტფ. მომრიგებელი მოსამართლეები, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი და დეპუტატები; ქალაქის მოურავი, გამგეობის წევრნი და საბჭოს ხმოსნები; ვაჭართა და ბირჟის წარმომადგენელნი; სამეცნიერო, საქველ-მოქმედო და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი ᲓᲐ სხვა წარჩინებულნი პირნი.

სასახლეში ყველა დამსწრენი წარუდგინეს ნამესტნიკს. გრაფმა დიდხანს ესაუბრა: სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ზავადსკის კავკასიაში სწავლა-განათლების საქმეზე და მოსწავლეთა მღელვარებაზე; მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულს მედვედევს და გამიჯვნის საქმის მმართველს ტკაჩევს კავკასიაში მიწათ-მფლობელობის მდგომარეობაზე; რკინის გზების უფროსს ივანოვსკის მუშათა მდგომარეობის შესახებ და ზოგიერთ სხვათ. მე-6 საათზე საზოგადოება დაიშალა. ქალაქი მთელი დღე მორთული იყო ბაირაღებით.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

წინად ხშირად მოგვდიოდა ცნობები, და დღეს, როცა იმერეთის თავად-აზნაურობა საგანგებო კრებისათვის ქუთაისში შემოკრბა,*) ნათლად გამოირკვა, რომ ქუთაისის გუბერნიის სხვა-და-სხვა მხარეში თავად-აზნაურებსა და გლეხებს შორის ურთიერთობა მეტად გამწვავებულია: არის მაგალითები იმისა, რომ გლეხობა მემამულე აზნაურებს შესევია, მათ მიწებს დაპატრონებია, ზოგი დაუწვავს, ზოგიც დაუხოცია. თავად-აზნაურობის მრავალი წევრი აცხადებს, რომ ეს სამწუხარო მოვლენა თითქო პირდაპირი შედეგი იყოს სოფლად მოსიარულე ზოგიერთ ინტელიგენტების, განათლებულ ყმაწვილების ქადაგებისა, თითქო ესენი ხალხს ეუბნებოდნენ: ნუ დაზოგავთ მემამულე თავადსა და აზნაურებს, დასწვით, დაარბიეთ, დახოცეთ: ისინი თქვენი მტრები არიანო.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, დარწმუნებულნი ვართ, რომ შეგნებულ ინტელიგენტებს არაფერი საერთო არა აქვს იმ პირებთან, რომელნიც მოძმეებს შორის შურსა და მტრობას სთესენ. თუ რომ ერთობა და კეთილგანწყობილებაა საჭირო რომლისამე ხალხისთვის, განსაკუთრებით საჭიროა იგი ჩვენს მდგომარეობაში მყოფთათვის. ჩვენ ქვეყანას ათასი გასაჭირი აწუხებს, და ცხოვრების გასაუმჯობესებლად ძალების დაქსაქსვა კი არა, შეერთებაა საჭირო, რადგან მხოლოდ შეერთებულის ძალითა და ძმურის თანხმობით შეიძლება დღევანდელ ცხოვრების აუტანელ პირობებთა შეცვლა და საკეთილდღეოდ განახლება. აზნაური და გლეხი, ძმურად ხელ-ჩაკიდებული, დღეს ერთის დიადის მიზნისაკენ უნდა მიისწრაფოდეს, და იმერეთის თავად-აზნაურობამ, ისე როგორც ამერეთისამ, საგანგებო კრებაზე დადგენილ გადაწყვეტილებით, თავის ადრესში გამოთქმული აზრით, ცხადად დაამტკიცეს, რომ ისინი გლეხებთან ერთად ქვეყნის საერთო მიზნითა და მისწრაფებით არიან გამსჭვალულნი.

კარგად დაუკვირდეთ, რას აცხადებს საქართველოს თავად-აზნაურობა თავის ადრესში. ის ეუბნება

*) ეს წერილი წაკითხულ იქნა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლეს მთავრობას: ჩვენის ქვეყნისათვის აუცილებლად საჭიროა იმისთანა წესწყობილება, რომ ჩვენის ხალხის კანონები თვით ამ ხალხის მიერ იქნეს შემუშავებული და დადგენილი, ჩვენი ქვეყანა იმ პირებმა უნდა მართონ, რომელნიც მთელი ერისაგან იქნებიან არჩეულნი, განურჩევლად წოდებისა, როგორც გლეხების, ისე აზნაურებისაგან, საყოველთაო, თანასწორის არჩევანითო. ნუ თუ თავად-აზნაურობის ამ მოთხოვნაში არ იხატება ის აზრი, რომ ის უარ-ჰყოფს თავის ყოველგვარ უპირატესობას და გულით სწადია—მოუპოოს ქვეყანას თანასწორობა და სამართლიანობა?! გლეხობამაც ხომ ესევე წადილი გამოაცხადა როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთშიც, და, მაშასადამე, რა არის მათ შორის სამტრო და სასისხლო?!

დღეს დღეობით ერთად-ერთი სადავო საგანი მემამულეთა და მიწის მუშათა შორის—მიწის ღალაა, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ეს უთანხმოება ადვილად გასწორდება სხვა უფრო მშვიდობიანის გზით: ამისთვის სრულიად საჭირო არ არის ერთმანეთის მისევა და წვა-დაგვა.

დარწმუნებულნი ვართ, ჩვენის წერილის დედა აზრი სრულიად არ ეწინააღმდეგება ჩვენის პრესის მიმართულებას, და ამიტომ მივმართავთ ჩვენის გაზეთების რედაქციებს თხოვნით—გაავრცელონ ეს ჩვენი წერილი თავის ორგანოების საშუალებით და მას თავისი აზრიც, თავისი გავლენიანი სიტყვაც დასძინონ ამ საგნის შესახებ; მოიწვიონ გლეხნი და აზნაურნი, რათა ძმურად შეკავშირდნენ ჩვენის ქვეყნის საჭირ-ბოროტო კითხვების გადასაწყვეტად, ხოლო საადგილ-მამულო პირობანი, ადგილების ბაჟისა და ღალის შესახებ, ურთიერთ შორის დროებით, სანამ თავისუფალ ერის წარმომადგენელნი ამ საკითხს შესაფერის კანონმდებლობით გადასწყვეტდნენ,—ერთმანეთთან მშვიდობიან შეთანხმებით ან მედიატორულ წესით მოაწესრიგონ.

აგრეთვე ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ის პირნი, რომელთაც გლეხებთან მოლაპარაკება ჰქონიათ და მათი ნდობა მოუპოვებიათ, შეაგონებენ მათ, წერილობითაც და სიტყვიერადაც, რომ მოძმეებს შორის ძალმომრეობის ხმარება, სისხლის ღვრა, გადაწვა და ერთმანეთის ჟლეტა ჩვენს უამისოდაც დაბეჩავებულს ქვეყანას მხოლოდ ვნებას მოუტანს და არა სარგებლობას. ჩვენ გვჯერა, რომ ერის ერთგული მამულიშვილები, შეგნებული პარტიები არ იქნებიან მომხრე ძმების გადამტერებისა და ერთმანეთის წვა-ჟლეტით ხალხის ძალ-ღონის შესუსტებისა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

გაზ. „რუს“-ში მოთავსებულია არქიმ. ამბროსის წერილი ყ-დ სამღვდ. დიმიტრის საპასუხოდ, სხვათა შორის, იგი ამტკიცებდა, არქიმანდრიტი ამბროსი დასჯილი კი არ არის, ფრიად საამო კაცია თავის უფროსთა თვალშიო. ამ სიმართლეს აქარწყლებს არქ. ამბროსი და უპასუხებს ყოვ. სამ. დიმიტრის:

„კარგად უნდა იცოდეთ, რომ მთელი $2^1/_2$ წელიწადი ვსცდილობდი ადგილი მეშოვნა საქართველოში, სადაც მეტი სარგებლობა შემეძლო მომეტანა ხალხისათვის. კარგად უნდა იცოდეთ, რომ არა ერთხელ გამოუცხადებიათ ჩემთვის, სადმე სხვაგან, საექსარხოსოს გარეშე, უნდა მონახო ადგილიო და ბოლოს ჩემი სურვილის წინააღმდეგ გადამიყვანეს ახალ ადგილზე. ამის მიზეზი ის იყო, რომ მე მოხელეს თვალით არ ვუყურებდი საქმეს, არ თანაუგრძნობდი იმ სამღვდელო პირთ, რომელნიც ხალხის გარუსებას სცდილობდნენ და ამხედრებდნენ ხალხს ეკკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ. ხალხი დარწმუნდა, რომ სამღვდელო პირნი, რომლებიც ებრძოდნენ მკვიდრთა სამშობლო ენას, ვერ გაუძღვებოდნენ ბავშვების აღზრდას. ხალხმა მოითხოვა, ჩამოაშორეთ მღვდლები სკოლებს და სამშობლო ენაზე ასწავლეთ ჩვენ ბავშვებსაო. ხალხის გარუსების მოსურნეთ იმდენად თვალი არ უჭრის, რომ შეიგნონ მათ მიერ არჩეულ საშუალებათა მავნებლობა. იმ ხალხს, რომელსაც ათასი წლის ისტორია აქვს, რასაკვირველია, ძალაც შესწევს იმდენად, რათა დაიცვას თავისი ეროვნული სახე და სამშობლო ენა. გარუსების წადილი ვნების მეტს არაფერს მოუტანს ხალხს. ცუდი ქართველი კარგ რუსად ვერ გადაიქცევა. ყველასა სჯობს ზნეობრივ ნიადაგზე ხალხთა დაახლოვება. რეპრესიული, ხალხის მჩაგვრელი ზომები ყოველთვის არა-სასურველ შედეგს გამოიწვევს ხოლმე. ამგვარ ზომებით საქართველოს ეკლესია უფსკრულის კიდემდის მიიყვანეს. ეს ყველაზე უფრო ცხადად გამომჟღავნდა ყოვლად სამღვდელო დიმიტრის ეპარქიაში, რომელმაც გაჭივრების დროს დასტოვა თავისი სამწყსო და პეტერბურგს გაემგზავრა.

*
* *

**იაპონიისა და ჩინეთის ხელშეკრულობა.** „პეტ. ლ.“-ს კორესპონდენტის სიტყვით, 1903 წ. 14

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკემბერს ჩინეთმა და იაპონიამ შემდეგი ხელშეკრულობა დასდეს: 1) იაპონია და ჩინეთი ამ პირობებს (300) (?) წლის ვადით სდებენ; 2) იაპონიაცა და ჩინეთიც მოვალენი არიან ევროპის წინააღმდეგ იმოქმედონ; 3) იაპონია მოვალეა ჩინეთის ტახტზე ეხლანდელ ხელმწიფის საგვარეულო დასტოვოს; 4) იაპონია მოვალეა რუსეთს ომი გამოუცხადოს, მანჯურია წაართვას და ჩინეთს დაუბრუნდეს; 5) ჩინეთმა ხელი არ უნდა შეუშალოს იაპონიას კორეის შემოერთებაში; 6) იაპონია მოვალეა თავის აფიცრებით ჩინეთს ჯარი გაუწვრთნას; 7) ჩინეთი მოვალეა იმდენი ჯარი შეინახოს, რომ 12 წლის შემდეგ 6 მილიონი სალდათი ჰყავდეს; 8) ჩინეთი მოვალეა იაპონიას ჯარის შედგენისთვის თვეში თითო კაცზე 3 ლანი გადაუხადოს, ობერ-აფიცრებზე—36 ლანი, შტაბ-აფიცრებზე—46; 9) თორმეტი წლის შემდეგ ჩინეთი მოვალეა იაპონიასთან ერთად რუსეთს ომი გამოუცხადოს. იაპონიამ თავის მხრივ ბრძოლის ველზე 1,200,000 კაცი გაიყვანოს; 10) რუსეთის დამარცხების შემდეგ იაპონია პრიამურის ოლქსა და კამჩატკას დაისაკუთრებს; 11) ჩინეთსა და იაპონიას მიზნად აღმოსავლეთ-ციმბირის დაპყრობა აქვთ. ჩინეთმა და იაპონიამ ორი რკინის გზა უნდა ააშენონ: ერთი პეკინიდან კიახტამდის, მეორე—ტიანძინიდან ხაილარამდე; 12) ომის ხარჯი ასე უნდა გადაიხადოს 70%, იაპონიამ—30%.

ეს ხელშეკრულობა ძალაში შედის მხოლოდ მაშინ, როცა იაპონია რუსეთს დაამარცხებს და მანჯურიას წაართმევს (რ. ვ.)

**უცხო სახელმწიფოთა ფლოტი შორეულ-აღმოსავლეთის ზღვაში.** თუმცა ინგლისმა თავისი ესკადრა ცოტა შეასუსტა რუსეთის ფლოტის დამარცხების შემდეგ, მაგრამ მაინც დღესაც ყველაზე ძლიერი ესკადრა ჰყავს ჩინეთის ზღვაში. ამ ესკადრას თითონ აღმოსავლეთ ფლოტის უფროსი, ვიცე-ადმირალი სერ-ჯერალდ ნოელი უფროსობს. ნოელი ნიჭიერ ადმირალად ითვლება და ამ ესკადრის გარდა კიდევ ორი სხვა ესკადრა აბარია: ავსტრალიისა და აღმოსავლეთ ინდოეთისა. თუ ვინიცობაა ომი მოხდა, სამივე ესკადრა საერთოდ იმოქმედებს. მარტო ჩინეთის ესკადრაში ადმ. ნოელს ჰყავს: 4 ჯავშნიანი გემი, თითო 13 ათას ტონა წყალ წყვისა, 1 ჯავშნიანი გემი 10,500 ტონისა, 4 ჯავშნიანი კრეისერი 12 ათას ტონისა თითო, 4 კრეისერი მეორე კლასისა, 9 კანონირი გემი და 5 დიდი ნაღმიანი გემი უნდა გაეგზავნათ ჩინეთის ზღვაში და მოკლე ხანში 10,500 ტონიან ჯავშნიან გემის ბადლად 13 ათას ტონიან ჯავშნიან გემის გაგზავნასაც აპირობენ.

ინგლისის ესკადრას მოსდევს ამერიკის ესკადრა. ამერიკის ესკადრა ორ რაზმადაა განაწილებული. ორსავ რაზმს ადმირალი ტრენი უფროსობს. ტრენსა ჰყავს: 3 ჯავშნიანი გემი, 10 ათასიდან 12,500 ტონანდე წყალ-წყვისა თითო, 1 მონიტორი 4 ათას ტონიანი, 3 კრეისერი 3 ათასიდან 4 ათას ტონამდე თითო, 4 დიდი ნაღმიანი და 10 კანონირი გემი.

**ადმ. ტოგოსა და ადმ. როჟესტვენსკის ბრძოლა.** დიდებულ ბრძოლის ამბავი გვიან გამოირკვევა რიგზე. ჯერ-ჯერობით მეტად არეული ცნობები მოდის. დეპეშებიდან სჩანს, რომ რუსის ესკადრას 9 მაისს კუნძულ ლიუცონის ჩრდილოეთით ნაპირას ქვა-ნახშირი დაუდვია, ლიუცონსა და ფორმოზას შუა ბაშის სრუტე გაუვლია და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ გამართულა; 12 მაისს რიუ-კიუს კუნძულებთან მისულა; აქ ნელა მავალი მაშველი კრეისერები და ტრანსპორტები შანხაიში გაუსტუმრებია, თითონ ადმ. როჟესტვენსკი-კი უმთავრესი ფლოტით კორეის სრუტისაკენ წასულა. რუსის ადმირალს ფორმოზას ჩრდილოეთით თავისი ესკადრა სამ რაზმად გაუყვია, თითონ როჟესტვენსკი კორეის სრუტისაკენ წასულა და ორი რაზმი სანგარისა და ლაფერუზას სრუტისაკენ გაუგზავნია იაპონიის გარშემო. რუსები 14 მაისს დილით ორ რაზმად შესულან კორეის სრუტეში, კუნძულ ცუსიმას აღმოსავლეთით იაპონიის მხარეს: ჯავშნიანი გემები მარჯვნივ მიდიოდნენ თურმე, სხვა გემები მარცხნივ. რამდენი გემი ჰყავდა ადმ. როჟესტვენსკის კუნძულ ცუსიმასთან, ეს დეპეშებიდან სწორედ არა სჩანს. ზოგი დეპეშა იუწყება, 5 ჯავშნიანი გემი, 3 კრეისერი და 7 კონტრ-ნაღმიანი გემი ჰყავდაო, ზოგი იუწყება, რუსის 6 პირველ ხარისხოვანი და კიდევ 21 სხვა გემები უნახავთ ცუსიმასთანაო. უიმისოდაც ძლიერ, მრისხანე ბალტიის ესკადრას ვლადივოსტოკის კრეისერებიც მიეშველნენ და ბრძოლაში მონაწილეობა მიიღესო. რუსები რომ მისულან ცუსიმასთან, იაპონელებს მაშინვე შეუნიშნავთ; დილით ნისლი ყოფილა, ნაშუადღევს ნისლი გაფანტულა; 2—3 საათს შუა იაპონელებს იერიში მიუტანიათ და დიდებული, ისტორიული ბრძოლა დაწყებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის დროს საშინელი ქარი ჰქროდა და ზღვა ჰღელავდა თურმე, რამდენი გემი ჰყავდა ადმ. ტოგოს, მთელმა იმისმა ესკადრამ მიიღო ბრძოლაში მონაწილეობა, თუ მარტო ერთმა ნაწილმა, არც ესა სჩანს დეპეშებიდან.

იაპონურმა და რუსულმა ოფიციალურმა დეპეშებმა საკმაოდ ნათლად გამოარკვიეს დიდებულ, უმაგალითო ბრძოლის სურათი და იმის შედეგი. საინტერესო ცნობები მოიტანეს აგრეთვე კერძო დეპეშებმაც. რუსის ადმირალს შორს მოუვლია პესკადორის კუნძულებისათვის, სადაც იაპონიის უმთავრესი ფლოტი ეგულებოდა და პირდაპირ კორეის სრუტის გზას დასდგომია. 14 მაისს დილით რუსის ესკადრა სრუტეში შესულა, კუნძულ ცუსიმასა და იაპონიას შუა. რუსის ჯავშნიანი გემები მარჯვნივ მიდიოდნენ თურმე, კრეისერები მარცხენა მხარეს, შუაში უფრო ძველი, ნელა მავალი, მეორე ხარისხოვანი გემები იდგნენ. ჰფიქრობენ, რუსის ადმირალმა განზრახ აირჩია ეს მოკლე და საშიში გზა იაპონიის ახლო იმ იმედით, რომ იქნება იაპონელები აქ, ამისთანა საშიშ ადგილს, არ მელოდნენო. მაგრამ ადმ. ტოგო მოზამპოსთან მდგარა თავის უმთავრეს ფლოტით, კუნძულ ცუსიმადან დაახლოვებით 45 მილის სიშორეზე, დასავლეთით. გაუგია თუ არა რუსის ესკადრის მისვლის ამბავი, იაპონელი ადმირალი ყველა თავის ძლიერ მებრძოლ გემით სწრაფად გაქანებულა, კუნძულ ცუსიმასთვის ჩრდილოეთიდან მოუვლია და კუნძულ ჟინოშიმასთან, ცუსიმას სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსის ძლიერ და მრავალ რიცხვოვან ესკადრას დასცემია. რუსებს სულ 26 სამხედრო გემი ჰყოლიათ, ამათ შორის 11 ჯავშნოსანი. რამდენი გემი ჰყავდა იაპონელ ადმირალს, ეს დეპეშებიდან არა სჩანს. იაპონელებს საშინლად დაუშენიათ ყუმბარა რუსის ესკადრის მარცხენა ფრონტისა დ მარჯვენა ფრთისათვის, ცენტრი გაურღვევიათ და რუსები იაპონიის ნაპირებისაკენ მიურეკიათ. იქაც იაპონიის გემები ელოდნენ თურმე; ესენიც მარჯვენა მხრიდან დაეცნენ და რუსის ესკადრა შუაში მოიმწყვდიეს. მზის ჩასვლამდე ძალზე გამწვავებული ბრძოლა ყოფილა. დღისით იაპონელებს 3 რუსის ჯავშნიანი გემი ჩაუძირავთ «სუვოროვი», „ბოროდინო“, „ოსლიაბია“ და კრეისერი „ურალი“ და დანარჩენი გემებიც ძალზე დაუზიანებიათ. მზის ჩასვლის შემდეგ იაპონიის ნაღმიან გემებს მიუტანიათ იერიში და დიდი ზარალიც მიუციათ რუსის გემებისათვის. ჰფიქრობენ, რუსის გემები უმთავრესად ნაღმიან გემების ნასროლ ნაღმმა ჩასძირაო. აქედან სჩანს, რომ იაპონელ ნაღმოსნებს დღისით ბრძოლაშიაც მიუღიათ ნონაწილეობა.

რუსის ესკადრის გადარჩენილი ნაწილი ვლადივოსტოკისაკენ წასულა, იაპონიის სწრაფლ-მავალი გემები დასდევნებიან და 15 მაისს დილით ხელ-ახლად დასცემიან დაზიანებულ რუსის გემებს; 4 ჯავშნიანი გემი: „ორიოლი“, „იმპერატორ ნიკოლაი I“,. „ადმირალ სენიავინი“ და „გენერალ-ადმირალი აპრაქსინი“ ტყვედ დაუჭერიათ; ჯავშნიანი კრეისერი „ვლადიმირ მონომახი“-ც ხელში ჩაუგდიათ, მაგრამ მალე ჩაძირულა,—ალბად, ძლიერ იყო დაზიანებული.

ბალტიის ესკადრის ნაშთი მაინც წასულა ვლადივოსტოკისაკენ, მაგრამ გზაზე ადმ. კამიმურა დასცემია და ხელ-ახლა ბრძოლა მომხდარა. რით გათავებულა ეს ბრძოლა, ამაზე არავითარი ცნობა არაა დეპეშებში. ვლადივოსტოკში, როგორც სჩანს, 16 მაისამდე მხოლოდ მეორე კლასის კრეისერი, ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, იახტა „ალმაზი“ მისულა და 14 მაისის ბრძოლის ამბავი მიუტანია. „ალმაზი“ იაპონელებს დანარჩენ ესკადრისათვის მოუწყვეტიათ და ამიტომ ძალა-უნებურად ვლადივოსტოკს წასულა; „ალმაზი“ მარტო 14 მაისს დღისით მომხდარ ბრძოლას დასწრებია, შემდეგი ამბები აღარ სცოდნია.

18 მაისს დილამდე მიღებული დეპეშებიდან ნათლად გამოირკვა, რომ ადმ. ტოგოს მთლად გაუნადგურებია რუსის ფლოტი. რუსის 11 ჯავშნიან გემიდან იაპონელებს „კნიაზი სუვოროვი“, «ბოროდინო» და „ოსლიაბია“ ჩაუძირავთ; «ორიოლი», «იმპერატორ ნიკოლაი I», „ადმირალ სენიავინი“ და «გენერალ-ადმირალი აპრაქსინი» ტყვედ დაუჭერიათ და 17 მაისს იაპონიაში მიუყვანიათ; „ალექსანდრე III“ ძლიერ დაზიანებულა 14 მაისის ბრძოლაშივე და მისულა ვლადივოსტოკამდე თუ არა, ამაზე არას იუწყებიან. რა მოუვიდათ ჯავშნიან გემებს «სისოი ველიკი»-სა, „ნავარინ“-სა და „ადმირალ უშაკოვ“-ს არც ესა სჩანს დეპეშებიდან. ჯავშნიან კრეისერებიდან «ვლადიმირ მონომახი» ჩაძირულა, «დმიტრი დონსკოი»-სა და „ადმირალ ნახიმოვ“-ზე-კი ცნობა არ მოსულა, მაგრამ „ნახი-

64
ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვ“-ის უფროსი ტყვედ წაუყვანიათ და, შეიძლება, თვითონ კრეისერიც ან დაღუპული ან დატყვევებული იყოს. ამას გარდა, 14 მაისსავე იაპონელებს მაშველი კრეისერი «ურალი» ჩაუძირავთ და ტრანსპორტი „კამჩატკა“, სანაოსნო გემი „კორეია“ და საბუქსირე გემი „სვირი“ ძლიერ დაუზიანებიათ. «კორეია» და „სვირი“ 14 მაისს ბრძოლის დაწყების უმალ წასულან, შანხაიში მისულან და იქ საერთაშორისო წესისამებრ ომის გათავებამდე იარაღი უნდა აიყარონ. იაპონელებს ვაშიშიმასთანაც დაუჭერიათ ერთი უცხო გემი 200 აფიცრითა და ჯარის კაცით და იოკაჰამაში მიუყვანია. იქნება, ესეც რუსის გემი იყო. როგორც ვიცით, ერთი რუსის გემი ჯერ კიდევ 13 მაისს გზაში დაზიანებულიყო და კიაოჩაოში მისულიყო. რასაკვირველია, რუსის ფლოტის ზარალი თანდათან უფრო გამოირკვევა, გავიგებთ რამდენი გემი მიაღწევს ვლადივოსტოკს, მაგრამ ეხლაც სრულიად ნათლად სჩანს, რომ ბალტიის ესკადრის უმთავრესი და უძლიერესი ჯავშნიანი გემები იაპონელებს ან ჩაუძირავთ, ან დაუზიანებიათ, ან ტყვედ დაუჭერიათ და თავიანთ პორტებში მიუყვანიათ.

რუსის ესკადრის ნამდვილ ძალას 5 საუკეთესო, ახალი და მსწრაფლ-მავალი ჯავშნიანი გემი შეადგენდა: „კნიაზ სუვოროვი“, „ბოროდინო“, „ორიოლი“, „იმპერატორ ალექსანდრე III“ და „ოსლიაბია“. „სუვოროვი“, „ბოროდინო“ და „ოსლიაბია“ ჩაუძირავთ, «ორიოლ»-ი ტყვედ დაუჭერიათ და „ალექსანდრე III“ ძალზე დაუზიანებიათ და ვინ იცის, მიაღწევს ვლადივოსტოკამდე თუ არა. ამაზე მეტი ზარალიც რომ არ მოსვლოდა რუსის ფლოტს, ესეც დიდ, უმაგალითო დამარცხებად ჩაითვლებოდა.

ამ ხუთ საუკეთესო ჯავშნიან გემიდან სამი ჩაძირულა, ერთი ძალზე დაზიანებულა და ერთი («ორიოლი») იაპონელებს წაუყვანიათ თავიანთ პორტში; იქ მალე შეაკეთებენ და იაპონიის ფლოტს მიუმატებენ. დატყვევებული პირველ კლასის საესკადრო ჯავშნიანი გემი „ნიკოლაი I“ და სანაპირო ჯავშნიანი გემები „ადმირალ სენიავინი“ და „ადმირალ აპრაქსინი“-ც მიემატებიან იაპონიის ფლოტს. ესენი თუმცა ძველი გემებია, მაგრამ ახლად შეკეთებული და შეიარაღებულია; იაპონელები ამ 3 გემს შეაკეთებენ და, ალბად, ნაპირების დასაცველად მოიხმარებენ.

იაპონელებს ბევრი რუსის მეზღვაურიც დატყვევებიათ. სასებოში 2220 ტყვე მიუყვანიათ და კიდევ ბევრს მიიყვანდნენ, რადგან იმდენ ჩაძირულ და დატყვევებულ გემზე გაცილებით მეტი ხალხი იქნებოდა. ადმ. როჟესტვენსკი ჯავშნიან გემ «სუვოროვ»-ზე იჯდა, 14 მაისს ბრძოლაში დაჭრილა და როცა «სუვოროვი» ჩაძირულა, სხვა გემზე გადაუყვანიათ.

აი ასეთი საშინელი, უმაგალითო ზარალი მოსვლია რუსის ფლოტს, თუმცა ადმ. როჟესტვენსკის უფრო ძლიერი ესკადრა ჰყავდა ვიდრე ადმ. ტოგოს.

ამას გარდა იაპონელები ვუზუნში მდგომ რუსის სანაოსნო და სატრანსპორტო გემებსაც მისცვივნიან და იქ ჩაუკეტიათ. ჩინელ ადმირალის მოთხოვნილებით რუსის გემებს თავიანთი იარაღი ჩამოუშვიათ. მაშველი კრეისერები „დნეპრი“ და „რიონიც“ ვუზუნში (შანხაი ახლო) დგანან თურმე. ყველა ამ გემს იარაღს აჰყრიან და ომის გათავებამდე პორტიდან აღარ გაუშვებენ.

იაპონურ ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ იაპონიის ფლოტს დიდი ზარალი არ მოსვლია. რუსები მალე არეულან, იმათი გემები ხელად დაზიანებულან და იაპონელებისათვის დიდი ზარალი ვეღარ მიუციათ. ეს ბრძოლაც რუსის ფლოტის უმაგალითო დამარცხებით დასრულდა. ბალტიის ძლიერმა ესკადრამ და „რკინის ადმირალმა“ ვერ გაამართლეს რუსეთის იმედი. ელოდნენ, ბალტიის ესკადრა თავს ისახელებს, იაპონიის ფლოტს დაამარცხებს და პორტ-არტურის ესკადრასავით არ შერცხვება, მაგრამ ამ მტკიცე იმედის წინააღმდეგ, ბალტიის ესკადრამ არა თუ არ დაასუსტა იაპონიის ფლოტი, პირიქით, გააძლიერა და პორტ-არტურის ესკადრაზე უარესად შერცხვა; პორტ-არტურელებს არც ერთი გემი არ დაუნებებიათ იაპონელებისათვის, ეხლა-კი იაპონელებს 4 ჯავშნიანი გემი ჩაუგდიათ ხელში.

ამ ბრძოლის შედეგს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მთელს ქვეყნიერობაზე, მით უმეტეს, რომ იაპონიის ფლოტს ასე მცირე ზარალი მოჰსვლია. ყველგან ჰფიქრობენ, რომ ამ ბრძოლას უსათუოდ შერიგება მოჰყვებაო.

# ახალი ამბები და შენიშვნები.

*** ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლის სამართველო აცხადებს, რომ ყველა შაგირდები იქნებიან მიღებული სექტემბერში იმავე კლასებში, რომელშიდაც იყვნენ ამ წელში. ვინც მოემზადება და შეიძლებს ეკზამენის დაჭერას, უნდა გამოცხადდენ ეკზამენის დასაჭერად—მეოთხე კლასის მოწაფენი 16—20 აგვისტოს; საშუალო და უმცროს მოსამზადებელ კლასებში შესასვლელად 22—25 აგვისტოს; პირველ და მეორე კლასებში გადასასვლელად 26—31 აგვისტოს; მესამე კლასში გადასასვლელად 1—8 სექტემბერს. 12 სექტემბერს დაიწყება სწავლა. ვისაც ეკზამენის დაჭერა სურს 1 აგვისტოს უნდა გამოცხადდეს.

*** წინა პირველად უმაღლესად დამტკიცებული იყო, რომ 4 კლასის შესრულების შემდეგ ვისაც მიეცემოდა უფლება სემინარიის პირველ კლასში შესვლისა უეკზამენოდ იღებდენ. ბოლოს უარ-ყვეს ეს კანონი და ეკზამენს ვინც დაიჭერდა მხოლოდ იმას იღებდენ. ეხლა სინოდის განკარგულებით 4 კლასის შესრულების შემდეგ ვინც სამართველოსაგან იქნება ღირსად ცნობილი სემინარიაში შესვლისა, უეკზამენოდ იქნებიან მიღებულნი, არ არის ცნობილი მხოლოდ რა დრომდე იქნება მოქმედებაში ეს კანონი.

*** უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი, როგორც ხმებია, ისეთ ადგილს მიიღებს მცირე ხანებში, რომელი ადგილიდანაც დიდ გავლენას მოიპოებს ყოველ სახელმწიფო საქმეებზედ.

*** დიდის ამბით უდღესასწაულებიათ პეტერბურგში 25 წლის სამსახურის იუბილეი კონსტანტინე პეტრეს ძის პობედონოსცევისა, უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობაზე.

*** მთავრობის განკარგულებით სახელმწიფო გადასახადებთან ერთად იკრიბება დრამის ფულიც სამღვდელოებისათვის.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა სახალხო მატარებლებით სადგურ ბაკურიანიდან ბორჯომ პარკამდე და სადგურ ტფილისამდე რძის ნაწარმოების გადატანის ნება დართო.

*** იმპერატორმა ვილჰელმა აცნობა პრეზიდენტს რუზველტს, რომ იგი სრულიად წინააღმდეგია საერთაშორისო კონგრესის მოწვევისა და ამ კონგრესზე მშვიდობიანობის პირობათა გამორკვევისა, იმის აზრით, რუსეთი და იაპონია თვითონ უნდა მორიგდნენ ერთმანეთში სხვა სახელმწიფოთა დაუხმარებლად. კონგრესის მოწვევის წინააღმდეგ საბუთად ვილჰელმი ასახელებს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფონი მაშინაც შეეცდებიან თავის სასარგებლოდ გაათაონ საქმე, რაც ჩინეთს ვნებას მოუტანსო. ამბობენ, რუზველტმა უპასუხა ვილჰელმს, საქმეში არ ჩავერევი, სანამ რუსეთი არ მომთხოვს შუამავლობის გაწევასაო.

*** „რუს. სლოვო"-ს ტფილისიდან დეპეშით ატყობინებენ: მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდალმა ლინევიჩმა ითხოვა იმის განკარგულებაში გაგზავნოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ივანოვსკი. გზათა მინისტრი შეეკითხა ნამესტნიკს, თანახმაა იგი თუ არა, რომ ბ-ნი ივანოვსკი მანჯურიაში წავიდეს. ნამესტნიკს უარი შეუთვლია.

*** ბაქოს გენერალ-გუბერნატორის განკარგულება მოუხდენია, ადგილობრივ ქალაქის საბჭოს კრებაზე აღარ შეუშვან არც ხალხი და არც გაზეთების მოსამსახურენი. მიზეზად მოხსენებულია „უწესოებანი, რომელსაც საბჭოში ხალხი და მოსამსახურენი ახდენენ".

*** 17 მაისს, საღამოს, ქუთაისს ჩამოვიდა კავკასიის დროებითი სამხედრო სასამართლო. 18 და 19 რიცხვებში, აუარებელ ხალხის თანადასწრებით, სასამართლომ გაარჩია იმ პირთა საქმე, რომელთაც 18 მარტს ქუთაისის სადგურის უფროსის თავდასხმა ჰბრალდებათ. ბრალდებულთ ადეიშვილს, ებრაელიძეს, კვირკველიასა დ ჯაიანს იცავდა ნაფიცი ვექილი დიდია. ბრალდებულებმა გულწრფელად აღიარეს თავიანთი დანაშაულობა და სთხოვეს სასამართლოს: სიკვდილით ნუ დაგვსჯითო. დამცველმა წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ ლამაზი და მეტის-მეტად გრძნობიერი სიტყვა, და ამანაც სთხოვა სასამართლოს, დამნაშავეთ სიცოცხლე აპატიეთ, რადგანაც სინდისიერად აღიარეს თავისი შეცდომაო. ოთხსავე დამნაშავეს სასამართლომ ჩამოღრჩობა მიუსაჯა, თუმცა ამასთანავე დაადგინა: იშუამდგომლოს კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, რათა დასჯილებს ჩამოღრჩობა უვადო კატორღით შეეცვალოთო.

*** ამ დღეებში პეტერბურგში პროფესორთა კავშირის კრება მოხდა. პროფესორები შეუერთდნენ სტუდენტებს გაფიცვაში და დაადგინეს, იმ დრომდის, სანამ სახელმწიფო წესწყობილება არ შეიცვლება, ლექციებს არ წავიკითხავთო. (ზ. ვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ საზღვარ გარეთის გაზეთებში დაბეჭდილია წითელ ჯვრის საზოგადოების წევრის ელისეევის წერილი, რომელშიაც იგი შორეულ-აღმოსავლეთში წითელ ჯვრის გამგეს ალექსანდროვსკის ბრალსა სდებდა, ფული გაფლანგაო. ალექსანდროვსკიმ ელისეევს უჩივლა. წითელ ჯვრის საზოგადოებამ საჩივარი გაარჩია და დაადგინა, უცხოელ გაზეთებში წერილის დაბეჭდვისთვის და ალექსანდროვსკის მოქმედების გამომჟღავნებისთვის ბ-ნი ელისეევი გაიკიცხოსო. ხოლო რაც შეეხება იმას, მართალია თუ არა ეს ბრალდება, სასამართლოს ხმაც არ ამოუღია (რ. ვ.)

⁂ მოსკოვში ერთი უბანია, რომელიც სულ ქურდებითა და ჯიბგირებითაა დასახლებული. ჯიბგირებმა და ქურდებმა თურმე იქაურობა აიკლეს. ამ უბანშივე ცხოვრობდნენ მუშები, რომელნიც ქურდების თავხედობამ მოთმინებიდან გამოიყვანა. 25 აპრილს, საღამოს 7 საათზე, რამდენიმე ასმა მუშამ ქურდების სადგომებზე იერიში მიიტანა. ქურდებმა კარები ჩაკეტეს. ატყდა ჩხუბი, ქვების სროლა და ერთი აყალმაყალი. მუშებმა როგორღაც სახურავზე ასვლა მოახერხეს, ბუხრიდან ჩაძვრენ სახლში და ქურდებს დაერივნენ. ვისაც მოასწრობდნენ, ჯერ ძაგრა სცემდნენ და მერე ან კიბეზე დააგორებდნენ, ან ფანჯრიდან გადააგდებდნენ. მძიმედ ნაცემი ბევრია. მათ შორის ქალებიც არიან და 17—18 წლის ყმაწვილებიც. სანამ პოლიცია მოვიდოდა, მუშებმა ყველაფერი მიანგრმოანგრიეს და ქურდბაცაცების თავშესაფარი სულ მტვრად აქციეს.

⁂ კოვნოს გუბერნიაში, დაბა დუსეტიაშიც აუკლიათ ებრაელები. აღდგომის მეორე დღეს 1 საათზე სოფლიდან ჩამოსული აუარებელი ბრბო „ურა“-ს ძახილით მთელ დაბას მოედო და ებრაელებზე ნადირობა დაიწყო. 3 საათის განმავლობაში აიკლეს 40 მაღაზია და 50 სახლი. ერთ მაღაზიაში ბრბომ 300 წყვილი კალოში დაკუწა. სხვა მაღაზიებში ბრბო ჩითსა, აბრეშუმსა და, რაც კი ხელში მოხვდებოდა, ხევდა, გლეჯდა და გარეთ ჰყრიდა. აკლებულ სახლებსა და მაღაზიებში ერთი არაფერი დასტოვეს: ყველაფერი დაგლიჯეს, დახიეს' დაამტვრიეს და გაანადგურეს; კედლების დაქცევაც კი მოინდომეს. პოლიცია არსად სჩანდა. ბრბო ერთ სახლში შევარდა, სადაც მოხუცი ებრაელი და იმის ოთხი ვაჟი ცხოვრობდნენ. გამხეცებულმა ხალხმა ერთი ებრაელი მეორე სართულიდან ქუჩაში ხალხს გადაუგდო. ხალხმა სტაცა ხელი, ჯერ სცემა, ფეხით სთელა და მერე თავი მოხერხა. გარდა ამისა რამდენიმე ებრაელიც დასჭრეს. გამოირკვა, რომ ებრაელთა დარბევა წინადვე იყო დამზადებული (რ. ვ.).

⁂ საყურადღებო ამბებს გადმოგვცემს «კავკ. ლის.»-ი ამ გაზეთის სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკს ეყოლება მეოთხე თანაშემწე, რომელსაც ჩაებარება სამოსწავლო საქმე. ამას გარდა მთავრობის ყველა ის დაწესებულება კავკასიაში, რომელიც მთავარმართებელს არ ექვემდებარებოდა, დაექვემდებარება ნამესტნიკს. არ დაექვემდებარება ნამესტნიკს მხოლოდ სამოსამართლო დაწესებულებები. კავკასიის ნამესტნიკთან არსდება განსაკუთრებული საბჭო. საბჭოში შევლენ წარმომადგენელნი მთავრობის დაწესებულებებისა, თავად-აზნაურობისა, ქალაქებისა და სოფლისა. ამ საბჭომ უნდა განიხილოს კავკასიის შესახებ საკითხები; იგი დრო-გამოშვებით იქნება მხოლოდ მოწვეული.

⁂ სარწმუნო წყაროებიდან შეუტყვია გაზეთ „რუს“-ს, რომ რუსეთის საფინანსო უწყებამ 200 მილიონი სესხი აიღო ბერლინელ ბანკირებიდან ხუთ პროცენტად; გარდა საკომისიოსა აიღებენ 2 პროცენტს 9 თვეში. როგორც იტყობინებიან, ეს ფული უნდა გერმანიის მრეწველებსავე მისცენ სამხედრო და საზღვაო უწყების შემონაკვეთ საქმეების გაკეთებისათვის.

⁂ სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი, ამ მოკლე ხანში სამსახურს თავს ანებებსო იტყობინება „ბ. ვ.“-ი. საბლერის სამსახურიდან გადადგომას კავშირი ჰქონია იმ გარემოებასთან, რომ კ. პ. პობედონოსცევი სულ სხვა შეხედულებისაა საეკლესიო რეფორმის შესახებ.

⁂ **ებრაელების დაწიოკება ჟიტომირსა და მელიტოპოლში.** 1. 27 აპრილს წესიერების აღდგენა მიენდო სამხედრო მთავრობას. 16 მოკლულია, ასი დაჭრილი. 2. აპრილს დივიზიის უფროსმა ენერგიული ღონისძიებანი მიიღო, მაგრამ ცალკ-ცალკე თავ-დასხმა მაინც ხშირია. დაწიოკება შემუშავებულ გეგმის თანახმად ხდებოდა. (რ. ვ.)

⁂ **ოფიციალური ცნობა.** („კავკაზ“ № 114). 30 აპრილს საღამოს ათ საათზე, როცა სადგ. მარელისზე მოვიდა საქონლის მატარებელი, თენგინის პოლკის უნტერ-აფიცერმა (ეს პოლკი ლიანდაგს იცავს) დაიჭირა უბილეთო მგზავრი, რომელმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხრა, სადგურ ბელაგორის ახლო ხიდს ქვეშ ხალხია თავმოყრილი და ხიდის აფეთქებას აპირობს. საქონლის მატარებლის ობერ-კონდუქტორმაც დასძინა, როცა მატარებელი სადგ. ბელაგორიდან მარელისისაკენ მიდიოდა, გზაში ჩამოხტა ხუთი უცნობი კაცი და იმ ხიდს ქვეშ ჩავიდა, რომელიც ამ დაჭრილმა მგზავრმა მოიხსენიაო. მგზავრისა და ობერ-კონდუქტორის სიტყვები ტელეფონით გადასცეს სადგ. ბელოგორის მორიგ მოსამსახურეს და იქ მყოფ სამხედრო როტის უფროსს, რომელმაც გაგზავნა ექვსი სალდათი, უნტერ-აფიცრის უფროსობით, რათა გაეფანტათ ხიდს ქვეშ თავმოყრილი ხალხი და, თუ საჭიროება მოითხოვდა, იარაღიც ეხმარათ. როცა სალდათები ერთი ვერსის მანძილზე მიუახლოვდნენ ხიდს, გაიგონეს მოახლოვებულ მატარებლის გამაფრთხილებელი სტვენა· სალდათები ჩამოსცილდნენ ლიანდაგს და დაინახეს, რომ მატარებელმა სიარულს უკლო და გაჩერდა. სალდათები საჩქაროდ წავიდნენ წინ 200 ნაბიჯის მანძილზე მიუახლოვდნენ ხიდს და დაინახეს დაახლოვებით ასი კაცისაგან შემდგარი ბრბო და შორიდან დაუყვირეს—„დაიშალენით, თორემ თოფს გესვრითო“. სალდათები 150 ნაბიჯზე მიუახლოვდნენ ხიდს. მთვარიანი ღამე იყო. გარკვევით დაინახეს მდინარე ლაპარნას ნაპირზე თავმოყრილი ხალხი და კიდევ დაუყვირეს, «დაიშალენითო». პასუხად ხალხიდან თოფი გავარდა. მაშინ უნტერ-აფიცერმა უბრძანა სალდათებს სროლა დაეწყოთ. ამის შემდეგაც ხალხი ერთბაშად არ დაიშალა. მხოლოდ მაშინ გაიფანტა, როცა სალდათებმა დაუხშირეს თოფის სროლა. თოფებით შეიარაღებული სამი კაცი შეხტა ვაგონის პლატფორმაზე, გადმოაგდეს იქიდან კონდუქტორი და გაიქცნენ.

სროლა რომ შეწყდა, აღმოჩნდა მოკლული 3 ადგილობრივი გლეხი და შვიდი მძიმედ დაჭრილი, მათ შორის ორი ადგილობრივი რემონტის მუშა და ერთი მძიმედ დაჭრილი ბაქოს სადგურის ბაგაჟის კონდუქტორად ნამყოფი. გარდა ამისა, სალდათებმა დაიჭირეს 5 კაცი; მათ შორის სამი ადგილობრივი გლეხი და ორი გლეხი (ძმები) შორაპნის მაზრის სოფ. სერბაისიდან.

*** როგორც «კავკაზ»-ს შეუტყვია იოანნე ვოსტორგოვი გადაუყვანიათ საქართველოდან. იოანნე ვოსტორგოვმა კარგად იცოდა, რომ აქედან გადაყვანილი იქნებოდა და ამით აიხსნება, რომ ყველა ღარიბი ეკკლესიების მაგიერ მღვდლებს გამოურიცხა ჯამაგირის ფულები „მახარებლის“ გამოსაწერად. სინოდალნი კონტორამ უნდა მოახდინოს განკარგულება, რომ ეს ფულები თუ გაიყოლა მან უკან უნდა დააბრუნებინონ. ამ ჟურნალის გამოწერის შესახებ ორი განჩინება არის დადგენილი ერთი ერთმანეთის წინაამდეგი.

*** კარგი ხანია ისმის, რომ დიდათ პატივცემული და ყველასაგან შეყვარებული მამა არხიმანდრიტი გიორგი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ინიშნება. რამდენად უკეთესი იყო, რომ პირველადვე ხსენებული მამა გიორგი დანიშნულიყო ამ კათედრაზე, როგორც დიდიხნის ნამსახური დიმიტრიზე და საზოგადოებისაგანაც ცნობილი და შეყვარებული.

*** აფხაზეთის ეპარქიაში ნაცვლად ღრმა მოხუცებულის არსენისა ეპისკოპოსად ინიშნება გვარდიის პოლკოვნიკად ნამსახური ერის კაცობაში ლეონიდ ჩიჩაღოვად წოდებული, აწ არხიმანდრიტი სერაფიმი. სამხედრო წოდების პირთ, რომელთაც კაცის სისხლის დანახვა შეხვედრიათ ომიანობის დროს წინეთ ჩვენში არ აკურთხებდენ მღვდლად. მაგრამ შესაძლებელია ჩიჩაღოვს არსად არ შეხვედრია ომობა მტერთან. არხიმანდრიტი სერაფიმე 48 წლის კაცი არის.

*** 6 მაისს წარჩინებული პირები იყვნენ ცარსკოე სელოში, იქიდან დაბრუნებისას სთქვეს, რომ სულ მოკლე ხანში გამოვა ბრძანება «ზემსკი საბორის» მოწვევის შესახებ; თვითონ მოწვევა კი ნოემბერში იქნებაო. ამ ზემსკი საბორმა უნდა გადასწყვიტოს წარმომადგენლობის საქმე.

*** ქვეშევრდომობის გამოცვლა, რომელიც აქამდე თითქმის შეუძლებელი იყო სასტიკ წესების მიზეზით, უფრო გაადვილებული იქნება თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვისა (კ. ნ.).

*** სახალხო განათლების სამინისტროს საბოლოოდ გადაუწყვეტია განიხილოს საყოველთაო სწავლის შემოღების საქმე. საცდელად ჯერ პეტერბურგის გუბერნიაში ჰკრეფენ საჭირო ცნობებს.

*** ბ-ნმა ი. კ. ზუბალაშვილმა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, ნება მიეცეს გამოსცეს ტფილისში რუსულ ენაზე დიდი ყოველდღიური საზოგადოებრივი სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი უწინასწარ-ცენზუროდ ყოველკვირეულის სურათებიანის დამატებით. გაზეთს სახელად ერქმევა „ზაკავკაზიე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ ალავერდის საეპისკოპოსო კათედრა, როგორც „კავ.“-ი გადმოგვცემს, უქმდება და იმის მაგიერ არსდება ბაქო-ალექსანდროპოლის კათედრა. ბაქო-ალექსანდროპოლის ეპისკოპოსი იცხოვრებს ექვს თვეს ბაქოში, ექვსსაც—ალექსანდროპოლში.

⁂ 16 მაისს იაპონიის საელჩომ ლონდონში შემდეგი ოფიციალური დეპეშები მიიღო ტოკიოდან 16 მაისს ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე გამოგზავნილი, ადმ. ტოგოს პირველი მოხსენება: „14 მაისს, რამწამს მაცნობეს, რუსის ფლოტი გამოჩნდაო, იაპონიის ესკადრა სრულად გაემართა რუსებზე იერიშის მისატანად. ნათელი ამინდია. ზღვა ჰღელავს“. ტოგოს მეორე მოხსენება ტოკიოში მიიღეს 14 მაისს ღამით: „იაპონიის შეერთებულმა ესკადრამ დღეს იერიში მიიტანა რუსის ესკადრაზე, ჟანასიმას მახლობლად, ცუსიმას სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაამარცხა, სულ მცირედ რუსის 4 გემი ჩასძირა და დანარჩენნი ძლიერ დააზიანა. იაპონიის გემების ზიანი უმნიშვნელოა. იაპონიის ნაღმიანმა გემებმა მზის ჩასვლის შემდეგ მიიტანეს იერიში რუსებზე; ბრძოლას განვაგრძობთ, ასე რომ ჯერ კიდევ რამდენიმე ხანი გაივლის, ვიდრე გამოირკვევა საბოლოო შედეგი“.

⁂ ომის ასპარეზიდან მოსული დეპეშები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენენ, რომ რუსის ესკადრა დაუზიანებია ნაღმოსნებსა და წყალ ქვეშ მოსიარულე ნაღმებს. როჟდესტვენსკი იძულებული იყო აერჩია უფრო საშიშარი გზა, ვინაიდან ნახშირი აკლდა, რამაც დაუმალა მას გარს შემოევლო იაპონიისთვის. ამბობენ, ომი თავგანწირული იყოო. იაპონელებს შესამჩნევი ზარალი მოუვიდათ.

⁂ როგორც ომის ასპარეზიდან ამ ბოლო ხანს მოსულ ცნობებიდან სჩანს, ბალტიის ესკადრის ნაწილი ჩრდილოეთით მიდის, უკან-კი იაპონელები მოსდევენ. შანხაისთან მოსულ გემებსაც საფრთხე მოელისო, ვინაიდგან, ამბობენ, იაპონიის გემები თავს დაესხნენ რუსის ცალკე ესკადრას ვუზუნთან გაშლილ ზღვაშიო. უმავთულო ტელეგრაფმა ახლაც დიდი სამსახური გაუწია იაპონელებს; პარასკევიდან დაწყებული რუსის გემების მოძრაობაზე უმავთულო ტელეგრაფით მისდიოდათ ყველაფერი ამბები იაპონელებს კველპარტის კუნძულიდან.

⁂ სომეხთა და თათართა წარმომადგენლებმა საბჭოს დარბაზში შემდეგი რეზოლიუცია შეიმუშავეს: ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, მაჰმადიანთა, ქართველთა, რუსთა და სომეხთა წარმომადგენელნი შევიკრიბენით ქალაქის თავის თავმჯდომარეობით 17 მაისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში. დიდად შეწუხებულნი ნახიჩევანსა და მისს მაზრაში მომხდარ ამბებით, მხურვალე თანაგრძნობას ვუცხადებთ ამ საზიზღრობის მსხვერპლთ. აგრეთვე წმინდა მოვალეობად ვთვლით ვაღიაროთ, რომ მაჰმადიანთა და სომეხთ შორის მტრობის არავითარი მიზეზი არ არსებობს. გულწრფელად გვსურს, რომ ბოროტგანზრახვით გავრცელებულ ხმებს მკვიდრთა არ დაუჯერონ და შეერთდნენ მშვიდობიან კულტურულ მუშაობის ნიადაგზე და სამშობლოს სასარგებლოდ. ამისთანა შეერთებისათვის საჭიროდ ვთვლით ავირჩიოთ განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შევლენ ხუთ-ხუთი წარმომადგენელი ყველა ეროვნებისა. ამ კომისიის მოვალეობა იქნება—ყველა ზომების მიღება, რაც კი ზნეობრივ ზეგავლენას იქონიებს ხალხზე, ნახიჩევანში მომხდარ სამწუხარო ამბების მზგავს მოვლენის ასაცილებლად. ამ კომისიამვე უნდა დაამშვიდოს მაჰმადიანნი და სომეხნი ტფილისში. ხელი უწერიათ ასზე მეტ კაცს.

⁂ „ივერიის“ გამომცემელმა თავ. პავლე ი. თუმანიშვილმა აღძრა აგრეთვე სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, ნება მიეცეს ყოველ-დღიურ გაზეთის გამოცემისა რუსულ ენაზე სრულის პროგრამით. გაზეთს სახელად ერქმევა „ვოზროჟდენიე“.

⁂ ადმირალ ტოგოს მოხსენებაზე მარკიზმა იამამოტომ ასეთი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა; „რუსეთის მეორე და მესამე ესკადრებმა ბევრი და მძიმე გაჭირვება სძლიეს და შორეულ აღმოსავლეთს მოვიდნენ; ეს ესკადრები საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენდენ. მიუხედავად ამისა, თქვენ, თქვენის ფლოტით, შეაჩერეთ რუსეთის ფლოტი, ჩაძირეთ ან დაატყვევეთ თითქმის ყველა მათი გემები და ამასთანავე რუსეთის ფლოტის მთავარ-სარდალიც ტყვედ წაიყვანეთ. ასეთს გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ნაციონალურ საქმისათვის. გულწრფელად გილოცავთ და ვსარგებლობ შემთხვევით ღირსეულად შევამკო ჩვენის იმპერატორის სიმამაცე; მადლობას გწირავთ თქვენ და ყველა თქვენ ხელ-ქვეითთ ხანგრძლივ და მძიმე სამსახურისათვის და სამძიმარს გითვლით მოკლულთა და დაჭრილთა გამო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

## ვნება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

(რუსულიდან*).

### გეთსამანიის ბაღში ლოცვა და მიცემა იესო ქრისტესი.

მთელი დღის შრომის, მოწაფეებთან დიდხანს საუბრის და იერუსალიმიდან გეთსამანიის ბაღში მოგზაურობის შემდეგ მაცხოვრის კაცობრივ ბუნებისათვის დადგა დრო არა მოსვენებისა, არამედ მოახლოებულ ზნეობრივ ტანჯვისა და ფიზიკურ წამების მისაღებად მომზადებისათვის, რადგან თანდა-თან ახლოვდებოდა ჟამი იგი, როდესაც მას თავი თვისი ნებით უნდა მიეცა ცოდვილ ადამიანისათვის საწამებლად. ეს მომზადება ხდებოდა განმარტოებით ლოცვაში. „შეწუხებულ არს სული ჩემი, ვიდრე სიკვდილამდე; დაადგერით აქა და იღვიძებდით ჩემთანა“ (მათ. 26, 38),—უთხრა მან თავისს საყვარელ მოწაფეებს და მოშორდა მათ მცირედ. მოწაფეები, სანამ ძილი არ მოერიათ, კარგად ხედავდენ, თუ როგორი აღზნებული იყო ლოცვა იესოსი, და როგორი მძიმე იყო ტანჯვანი მისნი. ისინი ხედავდენ, თუ მაცხოვარი თავის აღზნებულ ლოცვის დროს თავს როგორ ხრიდა, ხან მიწაზე როგორ ემხობოდა. იმათ ესმოდათ გულის სიღრმიდან ამომსკდარი, მწუხარებით აღვსილი ვედრება, რომლითაც მისი კაცობრიობა შუამდგომლობდა ზეციერ მამის წინაშე აეცილებინა მისთვის საშინელი ტანჯვათა. მთვარის ნათელით ოდნავ განათებულ ხეების ბნელ ჩრდილში მოსჩანდა ანგელოზი, რომელიც ანუგეშებდა მაცხოვარს, ამხნევებდა მას და განამტკიცებდა მის კაცობრივ მისუსტებულ ძალას. ხოლო მერე რაც მოხდა,—ეს კი მათთვის დაფარული შეიქნა, რადგან ძილმა მოიცვა მათი არსება. სამჯერ შესწყვიტა მაცხოვარმა თავისი ლოცვა; სამჯერ მივიდა ის თავისს მოწაფეებთან და სამჯერვე მძინარი ჰპოვა იგინი. ვერც განსაცდელის მოახლოვებამ, ვერც იესო ქრისტესადმი ღრმა სიყვარულმა, ვერც მის გამოუხატველ მწუხარებისადმი სიბრალულმა—ვერაფერმა ვერ დაახწევინა მათ ძილს თავი.

—დაიძინეთ ამიერითგან და განისვენეთ (თქვენ ისევ გძინავთ და განისვენებთ) უთხრა მან უკანასკნელად, აღსდეგით, წარვიდეთ ამიერ: აჰა ესე რა მოიწია მიმცემელი ჩემი» (მათ. 26, 45—46).

ღამის წყვდიადში, ბაღის ხეებს შორის, სანთლებით ხელში უკვე გამოჩნდა ერთი, რომელიც უახლოვდებოდა მაცხოვარს. წინ გაჩქარებით მიუძღოდა მათ იესო ქრისტესაკენ იუდა უბადრუკი.—„მოყვასო, რაისათვის მოსულხარ?“ (მათ. 26, 50) ჰკითხა იესომ.

—რაბი (მოძღვარ)! მიუგ[illegible] ჩაუვარდა... რაბი, გაიმეორა იმან [illegible] ნებით, გიხაროდენ» და იმ წამსვე [illegible] ამით წინადვე დადებული ნიშანი [illegible] იყო და «მაშინ კრებულმან მან და ათასი[illegible] მსახურთა მათ ურიათამან შეიპყრეს იესო და [illegible] კრეს იგი» (იოან. 18, 12). ასეთი იყო დასაწყისი იმ საქმის, რომელიც შეიქნა გამომხსნელი სოფლისა, ხოლო ურწმუნო ურიათათვის კი დამღუპველი.

### მსჯავრი იესო ქრისტეზე, ანნა მღვდელმთავრისაგან.

შეჰკრეს რა იესო, რომაელთა მხედრებმა წაიყვანეს იგი განსამართლებლად ანნა მღვდელმთავართან, რომელმაც პირველმა დაუწყო განსჯა უდანაშაულო ტანჯულს. უნდოდა რა გამოეძებნა მისთვის რაიმე ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანი ბრალდება, ანნამ ჰკითხა იესოს, თუ რას ასწავლიდა იგი, ან ვინ ჰყავდა მას მოწაფეები.

—«რასა მკითხავ მე? ჰკითხე მათ, რომელთა ესმოდა რასა ვასწავებდი მათ; აჰა, ამათ იციან, რასა იგი ვეტყოდი მათ» (იოან. 18, 21).

შეუძლებელია მეტი ღირსებით, სიბრძნითა და ჭეშმარიტებით პასუხის მიგება. მაგრამ სულ სხვანაირად შეხედა მაცხოვრის ამგვარ პასუხს ერთმა მდგომმა ანნას მოსამსახურემ.

*) იხ. „მწყემსი“ № 8, 1905 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ესრეთ სიტყვას-უგებ მღვდელმთავარსა», დაუყვირა იმან, და გაარტყა უფალს ყვრიმალში. დიდის სიმდაბლით გადიტანა მაცხოვარმა ასეთი შეურაცყოფა, მხოლოდ მშვიდად შენიშნა:

—„უკეთუ ბოროტსა ვეტყოდე, სწამე ბოროტისათვის: უკეთუ კეთილსა, რაისათვის მცემ?“ (იოან. 18, 23). დარწმუნდა-რა, რომ ამისმეტს ვერაფერს ისმენს იესოსაგან, რომელსაც არ უნდოდა ეპასუხნა ასეთ უსამართლო მსაჯულისათვის, ანნა მღვდელმთავარმა გაგზავნა ის მეორე, რომაელებისაგან დაყენებულ მღვდელმთავარ კაიაფასთან.

### მსჯავრი იესო ქრისტეზე, კაიაფა მღვდელმთავართან.

თუმცა დიდი ღამე იყო გასული, მაგრამ კაიაფამ მაინც არ დაახანა, შეკრიბა ყველა მღვდელმთავრები, მოხუცებულნი და მწიგნობარნი იესო ქრისტეზე მსჯავრის დასადგენად. სინედრიონის კრება გაიხსნა მოწმეების ჩვენების ჩამორთმევით. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ცრუ-მოწამე გამოჩნდა, რომლებიც იესო ქრისტეს ცრუ ბრალსა სდებდენ, მათი ბრალდება მაინც ვერ შეიქნა საკმარისი უსინდისო მსაჯულთათვისაც კი (მათ. 26, 60). მაგრამ, თუ მოწმეებმა ვერ გამოიჩინეს საკმარი ცბიერება და ხერხი თავის საქმის რიგიანად წასაყვანად, სამაგიეროდ მზაკვარ მღვდელმთავარს ხომ საკმაოდ მოეპოებოდა ეს თვისებები!

—გაფუცებ შენ ღრმთისა ცხოველისა (ღმერთსა ცხოველსა), რათა მითხრა ჩუენ, უკეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა?

—მე ვარ; მიუგო აქობამდის მდუმარე მაცხოვარმა.

—გესმათ მაგისი? ცბიერ თავის-გამოდებით წამოიძახა კაიაფამ. ეგ ცხადად ჰგმობს და ჩვენ კიდევ მოწამეთ ვთხოულობთ?

ყველა სდუმდა და ცბიერად ინაწილებდენ იმ ელდას, რომელიც ვითომდა მოსმენილ ღვთის გმობით ეცა მღვდელმთავარს.

—რა გნებავს თქვენ? (როგორ ფიქრობთ, რის ღირსია ეს).

—„სიკვდილის, სიკვდილის თანამდებ-არს“, მიუგეს მას ერთხმად სინედრიონის წევრებმა.

ამნაირად ქრისტეს მტრებმა თავისს მიზანს თითქმის მიაღწიეს: სიკვდილით დასჯა იესო ქრისტესი გადაწყვეტილია, მხოლოდ, ვინაიდამ ებრაელებს დებულება ჰქონდათ სისხლის საქმეები ორს კრებაზე გაერჩიათ, ეს გადაწყვეტილება სინედრიონის მეორე კრებაზე უნდა დაემტკიცებიათ.

სხვა დროს საქმის მეორედ გარჩევა ინიშნებოდა ხოლმე ერთი დღის შემდეგ. მაგრამ ახლა კი საქმის ასე შორს გადადება შეუძლებელი იყო, რადგან გათენება მოახლოხებული იყო და ქალაქი ძილისაგან ერკვეოდა. ეს კი მათთვის (მტრებისათვის) სახიფათო იყო, რადგან, უკეთუ იესოს მევობრები და მომხრეები დროით გაიგებდენ, თუ რაც ხდებოდა, მაშინ, ვინ იცის, საქმე როგორ დატრიალდებოდა. ამიტომ გათენდა თუ არა, სინედრიონის მწევრები ყველა შეკრებული იყო. შემოიყვანეს იესო ქრისტეც, უძილობისა და უგულო ბრბოს დაცინვა-წვალებისაგან სრულიად ღონე-მიხდილი. კრება გაიხსნა კაიაფას კითხვით: «შენ ხარა ქრისტე? მითხარ ჩვენ»... ამას მოჰყვა პასუხი დამტკიცებითი.

—მაშ შენ ხარა ძე ღვთისა? რაღასა გვიხმინ „მოწამენი?“ მედიდურად შენიშნეს მსაჯულებმა და ამ სიცყვებით:—„სიკვდილი, სიკვლილი ღმრთის მგმობელს“—დახურეს კრება.

### სინანული იუდასი.

მაცხოვრის სიკვდილით დასჯის ხმამ, ეჭვ-გარეშეა, ააძრწოლა მთელი იერუსალიმი და, შეიძლება, ზოგიერთი მისი მტერიც. მაგრამ ამ ხმამ ყველაზე უფრო იმ კაცზე იმოქმედა, რომლისაგანაც ამ შემთხვევაში ყველაზე ნაკლებად იყო ეს მოსალოდნელი—ეს კაცი იუდა გამცემელია. საშინელმა ამბავმა უნებლიედ გამოაღვიძა მასში ის მცირეოდენი, დროებით მიმქრალი კეთილი გრძნობა რომელიც მას კიდევ მოეპოებოდა, და უეცრად მოიცვა ის საშინელმა დარდმა. რადგან არ იცოდა სხვა რა ექნა, იუდამ გადასწყვიტა წასულიყო მღვდელმთავრებთან, დაებრუნებია მათთვის ვეცხლი და მათ წინაშე მაინც აღეარებია თავისი ბრალი,—აღეარებია, რომ მისცა მათ სისხლი მართალი. რასაკვირველია, ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ამისთანა ქცევით მოელბო მას მსაჯულთა—ქრისტეს მტერთა—ქვა-გული, მაგრამ მოწაფე-გამცემელი უთუოდ იმედოვნებდა ამას და ამიტომ დიდი სამძიმო იყო მისთვის დაჰკარგოდა ეს უკანასკნელი იმედიც—გაესწორებია თავისი უდიდესი ცოდვა.

ჩვენდა რა? გულცივად და ზიზღით მიუგეს

ეროვნული ბიბლიოთ...

მღვდელმთავრებმა იუდას სინანულის გამოცხადებაზე, შენ იხილე; შენ სცოდე, შენვე პასუხი აგე.

ამნაირი პასუხით თავზარდაცემული იუდა გამცემელმა ახლა მთელი თავისი მხედველობა მართლაც თავის-თავს მიაპყრო; მაგრამ ეს მხედველობა იყო —მხედველობა სასოწარკვეთილებისა, რომლის წინაშეც ასეთი სისწრაფით ჩნდება და ასე ტკბილი მოსჩანს სიკვდილი!.. ღრმად შეშფოთებული, ის აბნევს მიღებულ ვეცხლს ტაძარში, მიიჩქარის მივარდნილ ადგილს და იქ, სულიერ სიცოცხლეს უკვე გამოსალმებული, ხეზე ჩამოხრჩობით ეთხოვება ხორციელ სიცოცხლესაც. ეს საზარელი სურათი, დაწყებული სასოწარკვეთილებისაგან, თითქოს განგებ გრძელდება მართლ-მსაჯულების ხელით: ჩამოკიდებული სხეული ვარდება ხიდან, სკდება ნაწილებად და შიგნეულობა გვამიდან იყრება. მაგრამ დავანებოთ თავი ცოდვილის სიკვდილის ამ საშინელ სურათს და მივაბრუნოთ ჩვენი მხედველობა უდანაშაულო ტანჯულისაკენ.

---

## მაცხოვარი პილატეს წინაშე.

სიკვდილით დასჯა რომ მიუსაჯეს მაცხოვარს, სინედრიონის მწევრებმა კაიაფას მეთაურობით, რაწამს კი ამომავალმა მზემ თავისი პირველი სხივები ქვეყნიერობას სტყორცნა, მიიყვანეს იგი რომის იმპერატორის მოადგილე პონტოელ პილატესთან, რომელზედაც იყო დამოკიდებული სინედრიონის განაჩენის საბოლოოდ დამტკიცება. დაინახა თუ არა ასე დილა-ადრიანა ამოდენი კრება ერისა, პილატე გაეშურა სასამართლოს დარბაზში, სადაც მიიყვანეს იესო ქრისტეც. ტანჯულ და განკიცხულ მაცხოვრის სახემ უნებლიედ გამოაღვიძა მთავრის გულში ღრმა სიბრალულის გრძნობა და ამ წარმართმა, რომელიც, როგორც რომაელი წარჩინებული, აღვსილი იყო სასტიკობითა და სიამაყით, გამოიჩინა როგორც ამას მისი საქმის გარჩევაც დაგვანახვებს, მეტი კაცთმოყვარეობა და სიმართლე, ვინემ ურიათა მღვდელმთავრებისა და ერის მთელმა კრებულმა. გადაავლო რა თვალი ამაყი თვალი მრავალ-რიცხოვან ურიათა წარჩინებულ სამღვდელოებას და აღელვებულ ხალხს, რომელნიც სიმძულვარის ცეცხლს აფრქვედენ უდანაშაულო ტანჯულისადმი, რომელიც იქვე მშვიდად და დიდებულად იდგა, მთავარმა მოსთხოვა იქ მყოფთ მაცხოვრის დანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთები.

—უკეთუმცა არა ბოროტის მოქმედი იყო, მიუგეს მას გარეწრად, არამცა მიეცით შენ ეგე“.

პილატეს, როგორც აღზრდილს რომაელთა სამართლის წარმოების სასტიკ კანონებში არ შეეძლო დაკმაყოფილებულიყო ასეთი გამოურკვეველი ბრალდებით; არ შეეძლო ეგრეთვე დაკმაყოფილებულიყო იმ ბრალდებითაც, რომელიც სინედრიონის მწევრებმა ზემო-ნათქვამს მოაყოლეს და რომელიც მდგომარეობდა მასში, რომ «ეს რყვნის ხალხს, უშლის ხარკი აძლიოს კეისარს და თავის-თავს ჰხდის მეფედო». ამიტომ პილატემ დასტოვა ბოროტებით მძვინვარე სინედრიონი და აღშფოთებული ბრბო და გადასწყვიტა ცალკე მოლაპარაკებოდა იესოს.

—არა რასა ბრალსა ვჰპოვებ კაცისა ამის თანა, გამოაცხადა პილატემ, როცა ის იესო ქრისტესთან საუბრის შემდეგ გამოვიდა ხალხთან (ლუკ. 23, 5).

პილატესაგან მაცხოვრის ამგვარმა დიდებულმა გამართლებამ და ამისმა უდანაშაულო პირდაპირმა მიდრეკილებამ, მხოლოდ გაადიდა სიბოროტე მაცხოვრის მტრებისა და მათ ხმამაღლა იწყეს ყვირილი და დაჟინებით გიაძახოდენ, რომ „იესო აღშფოთებს ერსა, და ასწავებს ყოველსა ურიასტანსა, უწყიეს გალილეაით აქამომდეო“ (გალილეიადან აქამდის.

ხალხის ყვირილში პილატემ ყური მოჰკრა სიტყვას „გალეია“. ამიტომ საჩქაროდ გადასწყვიტა დაეხწია თავი მისთვის ასეთ მძიმე საქმისაგან და გაეგზავნა იესო გალილიის მეფე იროდი ანტიპასთან, რომელიც იყო იგეთივე მრისხანე და მესისხლე, როგორც მამა მისი იროდი დიდი. ამნაირად ერთხელ კიდევ გაატარეს ქალაქის ქუჩებზე სრულიად ღონე მიხდილი ტანჯული. იესოს გაჰყვენ იროდემდინ მღვდელმთავრები და სხვა მწევრნი სინედრიონისა, რომელთაც არავითარი უფლება და მიზეზი არ ჰქონდათ წინ აღდგომოდენ ერთ სასამართლოდან მეორეში საქმის ამგვარ გადატანას.

(შემდეგი იქნება)

მღ. ბ. კაპანაძე.

# განცხადება.

## წელიწადი მეორე. სანატორიუმი 1905 წ.

## და

## საზაფხულო სამყოფი

4400 ფუტის სიმაღლეზე.

✦ ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა ✦

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე.

**„პატარა-ცემში“, ბაკურიანის რკინის გზაზედ.**

**«პატარა ცემი»** მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, თრიალეთის ქედის ერთ-ერთ კალთაზედ, ბაკურიანის რკინის გზაზედ, სადგურ ნიკოლაევოსა და საკოჭავს შუა, მაღლობ ვაკეზედ, 4400 ფუტის, ანუ 1340 მეტრის სიმაღლეზედ. (230 ფუტით მაღალია აბასთუმანზე).

**ამ ადგილის მდებარეობა**, როგორც მთელი ხეობისა, მეტად მოხდენილია და ლამაზი. „პატარა-ცემი“ წარმოადგენს მთებით შემოზღუდულ გაშლილ ვაკეს, ფიჭვნარითა და ნაძვნარით გარშემორტყმულს; მთელ დღეს მზით განათებულია და ცივი ქარისაგანაც დაფარული, ნიადაგი მშრალი და ნოტიერებას მოკლებული აქვს, ჰავა მუდამ გრილია და სითბო-სიცივეც მეტად ზომიერი; ჰაერი სუფთა, მშრალი და საამო, ადგილი მყუდრო და ყოველ ხმაურობას მოკლებული. შუაზედ მიუდის ბაკურიანის რკინის გზა.

**აქ არის აშენებული** სანატორიუმისათვის დიდი შენობა, სავაჟო და საქალებო განყოფილებით, სამხრეთისაკენ მიქცეული, მთელ დღეს მზით განათებული, რომელშიაც დღე და ღამე ჰაერი მოძრაობს და იცვლება. სანატორიუმს აქვს საკუთარი სამეცნიერო ლაბორატორია და მეტეოროლოგიური სადგური.

სანატორიუმს და საზაფხულო სამყოფს **მიზნად აქვს**, გაუადვილოს მოზარდის აგებულებას დასვენება და ჯანმრთელობის მოპოება, რომ ბუნებრივის საშუალებით და ჰიგიენურ პირობებში ცხოვრებით გამოსწორდეს ის ნაკლი, რაც სხეულში ან ავადმყოფობით არის გამოწვეული, ან ცხოვრების შეუფერებელ პირობებით; და ამნაირად ხელი შეუწყოს სხეულის განახლებასა და წესიერ მუშაობას, ფიზიკურ კეთილდღეობის მისაღწევად.

**მიიღებიან:** ვინც არის ნაავადმყოფარი, სხვა-და-სხვა სნეულებისაგან დაღლილ-დასუსტებული, მეტადრე ვისაც გამოვლილი აქვს განმეორებით: ინფლუენცა, ბრონხიტი, ფილტვის სხვა-და-სხვა ავადმყოფობა; ვინც მადა-დაკარგულია, სისხლ-ნაკლები, ნერვებ-აშლილი, ჯიბის ციებით ანუ ტყირპის გადიდებით დასუსტებული; ვისაც სხეული დასძაბუნებია ჰაერის, სინათლისა და საზრდოს ნაკლებულობით, ან ცხოვრების შეუფერებელ პირობებით; სტომაქისა და ნაწლევების აშლილობით დასნეულებული, გონებით მოქანცული და საერთოდ ყველანი, ვისაც-კი სამკურნალო მეცნიერების რჩევით ესაჭიროება ჰაერის გამოცვლა, დასვენება, სხეულის გამაგრება და ქალაქის მორიდება ცხელ ზაფხულის თვეებში.

**არ მიიღებიან:** მწოლიარე ავადმყოფნი, რომელიმე გადამდებ სენით შეპყრობილნი, ფილტვის სიჭლექით დაავადმყოფებულნი, სულით ავადმყოფნი და არც ისინი, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ მთა-ადგილს ყოფნა სარგებლობას ვერ მოუტანს.

**სამკურნალო საშუალებათ არის დასახული შემდეგი:**

1) მთის წმიდა ჰაერი, მზიანი, გრილი, ფიჭვის სუნით შეზავებული და ყოველგვარ უსუფთაობას მოშორებული; დღე სულ გარედ ყოფნა, ღამე-კი ღია ფანჯრებიან სახლში წოლა.

2) გონებისა და სხეულის დასვენება, სრული მყუდროება, შუა-გულ ტყეში ყოფნა, უსიამოვნო ხმაურობის მოშორებით.

3) გადაჭარბებული საზრდოობა დღეში ექვსჯელ: საუზმე დილის 7 ს., მეორე 10 ს., სადილი 1 ს., სამხარი 4 ს., ვახშამი 7 ს., და მეექვსე იჯრაც 9 საათზე.

4) წყლით ექიმობა: ტანის დაზელა, დუში და აბანო, ჰაერის აბანო (Luft-bad, Bain d'air).

5) სხვა და სხვა გვარი შექცევა-თამაშობა ევროპიდგან გამოწერილ მოძრავ სათამაშოების საშუალებით, უცხოეთის სავარჯიშო საზოგადოებათა გეგმის მიხედვით.

6) სამკურნალო ვარჯიშობა სტოკჰოლმის სავარჯიშო მთავარ ინსტიტუტში ლანგ-ის მიერ შემოღებულ გეგმისამებრ.

7) სახალისო და გასართობი სამუშაო და სხვა და სხვა ხელ-საქმე, საადვილო და სხეულისათვის მარგებელი, თვითვეულის აგებულებასთან შერჩეული. მსურველთათვის ფოტოგრაფიული ოთახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8) ჯგუფებად სეირნობა და მოგზაურობა ყოველ ორ-სამ დღეს ახლო მიდამოებში.

9) ყოველ დღეს ახლად მოტანილი მადნეულის წყლები: ბორჯომის მჟავე და წადვერის რკინის წყალი, ექიმის დანიშნულებისამებრ.

10) სხვა წამლებით ექიმობა მხოლოდ აუცილებელ საჭიროების დროს.

ყოველი ზემოხსენებული საშუალება შემოღებულია მეცნიერებისაგან დამტკიცებულ წესისამებრ, სწარმოებს ექიმის მუდმივ ხელმძღვანელობით და კერძოდ თვითეულის აგებულობასთან შეფარდებით.

კვირაში ერთხელ თვითეული სანატორიუმში მყოფი დაწვრილებით ისინჯება ექიმისაგან, თანაც სამეცნიერო იარაღებით აღინიშნება ის თანდათანი ცვლილება, რაც დაეტყობა თვითეულ აგებულებას, მეტადრე: წონას, დონეს, მკერდის სისრულეს, სულის თქმას, გულისა და მაჯის ცემას და სხ.

ყოვლივე ზემოხსენებული, როგორც ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაამტკიცა უცხოეთის ყველა კუთხეებში და მეცნიერებამაც გამოარკვია, სხვაგვარ წამლობაზედ უფრო წარმატებით ჰკურნავს ზემოდ აღნიშნულ სნეულებათ ასე რომ ეხლა ყველასაგან სასარგებლოდ არის დასახული სანატორიუმების ბუნებრივი მკურნალობა, რასაც შედეგად მოჰყვება ხოლმე შემდეგი ცვლილება: ყოველ მოზარდს ემატება წონა, ძალა და დონე, უგანივრდება მკერდი, უმაგრდება კუნთები, სხეულის საზრდოობა უმჯობესდება, მოდუნებულ აგებულობას სიმარჯვე ემატება და გონებას სიფხიზლე, ხასიათი მშვიდდება და სწორდება, ტოლ-ამხანაგებში ყოფნით ერთობა და ზნეობრივად იწვრთნება, და რასაკვირველია, ყოველივე ეს დიდათ ხელს უწყობს და აწინაურებს სხეულითაც, გონებითაც და ზნეობრივადაც მოზარდის აგებულებას.

წასვლისას თვითეულს შესაფერისი დარიგება ეძლევა, როგორც უნდა მოუაროს თავის-თავს მომავალში.

ყველანი იყოფებიან ჯგუფებად დონის, სქესისა და წლოვანობის მიხედვით. თვითეულ ჯგუფს ჰყავს საკუთარი თვალ-ყურის მდებელი და ყველას-კი საერთოდ —მუდმივი ხელმძღვანელი ექიმი.

სანატორიუმში და საზაფხულო სამყოფში **დადგენილი წეს-რიგი** ყველასათვის სავალდებულოა. ვინც არ დაეთანხმება მას, უნდა მიატოვოს ეს დაწესებულება ერთი კვირის განმავლობაში.

ეს წეს რიგი, რომელსაც მიზნად აქვს სხეულის კეთილდღეობა, ადვილი შესათვისებელია და მომავლისათვისაც სასარგებლო: სხეული პატარაობითვე ეჩვევა სიცივის ატანას, რიგიანად სმა-ჭამას, სასარგებლო მოძრაობას, წესიერ მუშაობას და საერთოდ ჰიგიენურ ცხოვრებას.

სამკურნალოდ დანიშნულია ზაფხულის თვეები: **15 ივნისიდგან 31 მარიამობისთვემდე**. მიიღებიან მსურველნი ორი თვით და ნახევრით და ორი თვითაც.

**მისაღებ პირთა რიცხვი განსაზღვრულია.**

ფასი პატარათათვის თვიურად ხუთი თუმანია, ხოლო მოზრდილთათვის ექვსი თუმანი, ამაშია ნაგულისხმევი: სადგომი, ლოგინი, საზრდო, განათება, წყლით ექიმობა, სარეცხის დარეცხა, წყლები, წამლები და საერთოდ ყოველ-მხრივი მოვლა და ექიმობა.

ვისაც ჰსურს სამკურნალოდ მოსვლა, წინდაწინვე უნდა გამოგზავნოს ავადმყოფობის სრული აღწერილობა და ადგილობრივი ექიმის წერილიც. საბოლოო გადაწყვეტა მიღების შესახებ მხოლოდ ავადმყოფის პირადად ნახვის შემდეგ არის შესაძლებელი.

თვითეულს უნდა მოჰყვეს თან: ორგვარი ტანისამოსი: საზაფხულო და ერთი თბილი, თეთრეული 4—6-მდე, ოროლი ფეხსაცმელი, მათში ერთი უქუსლო, ჭილის ქუდი მზეში სახმარად და, თუ შესაძლოა, მაგარი ტილოს ზევიდგან ჩასაცმელი ტანისამოსი სათამაშოდ.

ყოველ კვირას მშობლებს გაეგზავნებათ წერილი სანატორიუმის ექიმისაგან და ეუწყებათ მათი შვილის მდგომარეობის ამბავი.

**დაწვრილებით ცნობების** შესატყობად მსურველთ უნდა მიმართონ ექიმს ვახტანგ დავითის ძე ღამბაშიძეს მაისის 31-მდე ქალაქ თბილისს, შემდეგ-კი ბორჯომით პატარა-ცემის სანატორიუმში.

**მისასვლელი გზა:** ბორჯომიდგან ორი საათის სავალზე. ბაკურიანის რკინის გზით, მე-25 ვერსზე სადგურ ნიკოლაევოს შემდეგ საკუთარი ბაქანია «პატარა-ცემში», სადაც ყოველი სახალხო მატარებელი ჩერდება საკუთრად სანატორიუმისათვის.

**მატარებლების მიმოსვლა:** ბორჯომიდგან გადის დილის 9 ს. 7 წ., «პატარა-ცემის» სანატორიუმში მიდის 11 ს. 13 წ, პატარა-ცემიდგან გამოდის ნაშუადღევის 1 ს. 19 წ. და ბორჯომს მოდის 3 ს. 29 წ. საჭიროების დაგვარად დადის მეორე მატარებელი: ბორჯომიდგან გადის ნაშუადღევის 5 ს. 28 წ. პატარა ცემის სანატორიუმში მიდის საღამოს 7 ს. 32 წ.; პატარა-ცემიდგან გამოდის საღამოს 9 ს. 45 წ. ბორჯომს მოდის ღამის 11 ს. 33 წ..

**ადრესი:** ფოსტით: ბორჯომით—«პატარა-ცემს» ექიმს ვ. ღამბაშიძეს. ტელეგრაფით: ბორჯომი ღამბაშიძეს.

---

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **ღ. ღამბაშიძე** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе**
*Дозволено цензурою*, Архимандритъ Георгій 28 Мая *1905 г.*
„Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъвъ собст. домѣ.